[illegible]

[illegible]

ული ბიბლიოთეკა

№ 195

ოთხშაბათი, 2 ნოემბერი

1877—1905

№ 195

ოთხშაბათი, 2 ნოემბერი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

№ 4 ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 4

ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, 1905 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

ცხოვრების გარეშე

დრამა 4 მოქმ., თხზ. პროტოპოპოვისა, თარგ. შველიძისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ე. ურუშაძე, ი. ქვიძე, ჯაყელი, მუმლაძე.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი დაკლებულია.

მოსწავლეთათვის ადგილები ლოჟებში 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ახალი ძალა", „სულით ობოლი". რეჟისორი ვალ. გუნია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, ოთხშაბათს, 2 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

დემონი

ოპერა 4 მოქმ. და 6 სურ., მუსიკა რუბინშტეინისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნოვოსპასსკაია, რუდინა, კარპოვა; ბბ. კარელინი, სოკოლსკი, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო, შენი. ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირიჟორი ი. პ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ხვალ, ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, ქართული წარმოდგენა გაიმართება. წარმ. იქნება „ცხოვრების გარეშე", დრ. 4 მოქ., პროტოპოპოვისა, თარგ. თ. შველიძისა. პარასკევს, 4 ნოემბერს, წარმ. იქნება „კარმენი", ოპერა 4 მოქ., მუსიკა ბიზესი. შაბათს, 5 ნოემბერს, „გალა" წარმოდგენა იქნება. დაიდგება ოთხ-მოქმედებიანი ოპერა „ზაზა", მუსიკა ლეონკოვალოსი.

ბილეთები იყიდება.

9 სექტემბერს, ღამე, დაკეტილის ოთახიდან

ქუთაისში, სასტუმრო „გრანდოტელში"

მოპარულს ჩემოდანი

ბევრ ჩემთვის ძლიერ საჭირო საბუთებსა და ნივთებს გარდა, წაიღეს ამხანაგობა „გეორგია"-ს საამხანაგო ხელშეკრულობის დედანი, ნიუ-იორკის დამზღვევ საზოგადოების პოლისი, ორი საწევრო ბანკის ბილეთი, ვექსილები, ჩემი თხზულებანი „განწირულნი", „მშვენიერების წინაშე" და სხვ., ბავშვის მეტრიკული მოწმობა. ამით ვაცხადებ, ვინც იპოვნის ამ ზემოხსენებულ საბუთებს და გამომიგზავნის, მიიღებს სასყიდელს ას მანათს. თუ ყველა საბუთებს და ვექსილებს მომიტანს, ან ფოსტით გამომიგზავნის, გადავუხდი ორას მანათს და ვაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მომტანის ანუ გამომგზავნის სახელს არ გავამხელ. ვიმედოვნებ, მპოვნელი აღასრულებს ამ ჩემს თხოვნას, მით უმეტეს, რომ მპოვნელისთვის არც ერთი საბუთი არაფრად მოსახმარისი არ არის და მე-კი დიდად დამავალებს. ადრესი: ბათუმი, კანტორა „გეორგია", იასე მეხუზლა—რაჭველი. (5—1)

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შიგნეულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა. (20—10)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. უორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოვატი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ქ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ა. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანახოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ვ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე კ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ბლექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფლორის სახლის № 157

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვამაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 და საღამოს 5—7 საათ.

ბრძოლის ახალი საშუალებანი.

დაწინაურებულ ქვეყნების განვითარება სურათია უკან ჩამორჩენილ ქვეყნების მომავალ განვითარებისა; მაგრამ ეს არა ნიშნავს იმას, ვითომ ყველა ქვეყნების ისტორია ერთი და იგივე იყოს. მართალია ისტორიის არსებითი შინაარსი, არსებითი მიმდინარეობა (და არა ფაზისები) ყველგან ერთი და იგივეა, რადგან თვითონ ადამიანი ერთი და იმავე ბუნების შვილია, მაგრამ ისტორიის გამოხატულება, მისი ფორმები სხვადასხვა ნაირია, თანხმად ქვეყნების არსებულ სოციალ-პოლიტიკურ და ისტორიულ პირობათა სხვადასხვაობისა. ამერიკამ და საფრანგეთმა მე-XVIII საუკუნის დამლევს მოახდინეს ის, რაც ინგლისმა მოახდინა მე-XVII საუკუნის დამლევს; გერმანიამ და ავსტრიამ 1848 წ. იგივე გაიმეორეს, რაც ამერიკა-საფრანგეთმა მე-XVIII საუკუნის დამლევს. მაგრამ ყველგან სხვადასხვა იყო ფორმები ამ დიდ ისტორიულ მოძრაობისა. აგრეთვე რუსეთის იმპერია დღეს იძლევა იმავე სანახაობას, რაც იყო საფრანგეთში ამ ერთი საუკუნის წინად. აქაც და იქაც ერთი და იგივეა დედა-აზრები, პრინციპები, იდეალები, მაგრამ სხვადასხვაა მათი განხორციელება, რადგან სხვადასხვაა ისტორიული ვითარება, სხვადასხვაა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. საკმაოა აღვნიშნოთ თუნდ ის გარემოება, რომ საფრანგეთის რევოლუციამ სიზმრადაც არ იცოდა ის სოციალური მოძრაობა (მუშათა პარტიები), რომელიც დღევანდელ რუსეთის პოლიტიკას ძლიერ ნაკადულად ერთვის.

საზოგადოებრივ ცხოვრების ახალი შინაარსი ითხოვს ახალ გამოხატულებას, საზოგადოებრივ მოქმედების ახალ ფორმებს. ამ ფორმათა ჩვენება, დახასიათება, სინათლეზე გამოტანა მიუცილებელი ვალია მოწინავე საზოგადო მოღვაწისა; და ეს ფორმები, ისე როგორც მათი განსახორციელებელი საშუალებანი, უსათუოდ მონახულ უნდა იქმნან თვით ამ ცხოვრების გულის სიღრმეში, თვით ამ ცხოვრების კონკრეტულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში. დაწინაურებულ, უცხო ქვეყნების მაგალითები ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ძვირფასი არის; მათი ისტორია ჩვენი მასწავლებელია, მათი ცხოვრება ჩვენი ხელმძღვანელია. მაგრამ მათი ფორმების, მათი იარაღების შაბლონიურად (განუსჯელად) გადმოტანა კი მიუტევებელი დანაშაულობაა. თუ კერძო კაცის ცხოვრებაში ბრმა მიმბაძველობა სასაცილოა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ მიმბაძველობამ შეიძლება მიიღოს მეტად ტრაგიკული ხასიათი. მან შეიძლება გამოიწვიოს ისედაც გატანჯულ ხალხის უნაყოფო, უსარგებლო და გადამეტებული ტანჯვა-ვაება.

ერთად-ერთი ავგაროზი, რომელიც მოწინავე საზოგადო მოღვაწეს თავიდან აცდენს საშინელ დონ-კიხოტობას და შეუძლებელ ჰყოფს, ხალხის მეგობარი ხალხის მტრად გადაიქცეს, ერთად-ერთი ავგაროზია საზოგადოებრივი მეცნიერება, რომლის ქვაკუთხედია კონკრეტულ ცხოვრების ანალიზი და ამ ანალიზის დასკვნა: აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს,—ჭეშმარიტება კონკრეტულია. მაშ, ყველაფერი დროისა და ადგილის მიხედვით უნდა გაირკვეს.

დღეს, როცა რუსეთი განიცდის პოლიტიკურ რევოლუციას, მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა აზრი მიპყრობილია იმ ქვეყანაზე, რომელიც სამართლიანად ითვლება პოლიტიკურ რევოლუციის კლასიკურ ქვეყნად.

ამ წერილში ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ რა დიდი განსხვავებაა ეხლანდელ რუსეთსა და მე-XVIII-ტე საუკუნის დამლევის დროინდელ საფრანგეთს შორის. აქ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ რევოლუციის ფორმები, ბრძოლის საშუალებანი და ამიტომ შევჩერდებით მხოლოდ ამ საკითხზე.

დღეს ევროპის სოციალისტურ პარტიებში საზოგადო აზრია, რომ ეხლანდელ პირობებში ხალხს აღარ შეუძლიან რევოლუციის მოსახდენად ისარგებლოს იმავე იარაღებით, იმავე საშუალებებით, რომლითაც სარგებლობდნენ ევროპის წარსულ რევოლუციების დროს. ამ აზრისა იყო ენგელსი, ამავე აზრისაა კერძოდ რუსეთის შესახებ კაუტსკი *).

შეიძლება მკითხველმა შეგვნიშნოს, მიუხედავად მაგ აზრისა, რევოლუცია ჩვენშიაც ისევე ხდება, როგორც ხდებოდა ევროპაში, სისხლი ჩვენშიაც იღვრება, როგორც იღვრებოდა პარიზში. დიაღ ასეა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარიზში სისხლი იღვრებოდა ბარიკადებზე, ჯარებთან შეიარაღებულ ხალხის შეტაკების დროს, ჩვენში კი სისხლი იღვრება ტროტუარებზე, ფართო ქუჩებზე, სადაც არავითარი ბარიკადა არ მოსჩანს, იჟლიტება სრულიად უიარაღო, იჟლიტება სრულიად მშვიდობიანი ხალხი დარბაზებსა და გიმნაზიებში!

რევოლუციონური ბრძოლის ძველი საშუალებანი გააბათილა საომარ ტეხნიკის განვითარებამ (რაც ერთი ნაწილია საწარმოო ძალთა, საწარმოო ტეხნიკის განვითარებისა), ბრძოლის ფორმები შესცვალა საომარ ტეხნიკის შეცვლამ. ტეხნიკა შეიცვალა, ჯერ-ჯერობით მაინც, მთავრობის სასარგებლოდ და რევოლუციონურ ხალხის საზარალოდ. „ახლანდელ დროში სახალხო შეიარაღებულ რევოლუციას გაწვრთნილ ჯართან მხოლოდ პარტიზანული და ჯარის დამქანცველი ბრძოლა თუ შეუძლიან, თორემ არასოდეს—ბრძოლა პირდაპირი და განწყობილი" *). ჩვენ ვეთანხმებით ამ სტრიქონების ავტორს. გამოთქმული აზრი მართალია, მაგრამ იგი მაინც არ იძლევა სრულ წარმოდგენას აღძრულ საკითხზე: თანამედროვე პირობებში შეუძლიან თუ არა ხალხს რეგულარულ ჯარების წინააღმდეგ პირდაპირი გამოსვლა? ნათქვამი აზრი არ იძლევა სრულ წარმოდგენას საგანზე, რადგან ავტორს დავიწყებია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. სახელდობრ ის, რომ ისტორიაში დღეს, ისე როგორც გუშინ და ხვალაც, შესაძლებელია დადგეს ისეთი მომენტი, როცა საგრძნობელი ნაწილი ჯარებისა გადადის ხალხის მხარეზე **). თუ მხედველობაში მივიღებთ საომარ ტეხნიკის საოცარ განვითარებას, ცხადი იქნება, რომ ამგვარ შემთხვევაში შესაძლებელია დატრიალდეს ისეთი საშინელება, რომლის მზგავსი არც ერთ მოქალაქობრივ ომს არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიაში; და თუ ეს საშინელება შესაძლებელია გათავდეს ვისიმე გამარჯვებით, ეს გამარჯვება მიუცილებლად იქნება ხალხისა, და ვიდრე ასეთ საშინელ ნაბიჯს გადადგამდეს რომელიმე მთავრობა, ის ათასჯერ დაფიქრდება, ათასჯერ გაზომავს მისაღებ ზომების ავკარგიანობას.

ჩვენ ეხლა ვერ შევუდგებით იმის განხილვას, თუ ამ მხრივ, როგორ არის საქმე დღევანდელ რუსეთის იმპერიაში, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კითხვა დღეს სხვა პირობებშია, ვიდრე იყო 17 ოქტომბრამდე. ამასთანავე გამოვსთქვამთ სრულ იმედს, რომ ისტორია ამხელად ჩვენთვის იქნება ლმობიერი და თავიდან აგვაცილებს მოხსენებულ საშინელებას, ჯოჯოხეთურ სისხლის ღვრას.

ჩვენ მით უფრო გვჯერა ისტორიის ლმობიერება, რომ მან ხალხს მიაწოდა ბრძოლის სხვა, ახალი, უფრო მშვიდობიანი საშუალებანი. ესენია ბოიკოტი და საერთო საზოგადო გაფიცვა. ერთიცა და მეორეც მთელის მნიშვნელობით, მთელის სისასტიკით და ძლევა-მოსილებით წამოაყენა თანამედროვე რუსეთის იმპერიის განვითარებამ; იმპერიის დღევანდელმა ვითარებამ, უკანასკნელმა ბრძოლამ გამოსცადა და დაამტკიცა კიდეც მათი რეალური ძალა.

როდის, რა პირობებში იხმარებიან მოხსენებული საშუალებანი? განვიხილოთ.

ბოიკოტი, ანუ უკეთ პოლიტიკური ბოიკოტი, დედა-აზრით იგივე საზოგადო გაფიცვაა რაიმე პოლიტიკურის მიზნით. ხალხი უარსჰყოფს დაძველებულ რეჟიმის სახელმწიფო დაწესებულებათ, ხელს იღებს მათით სარგებლობაზე და ამით შეაქვს დეზორგანიზაცია მმართველ წრეებში. მაგრამ დაწესებულებაც არის და დაწესებულებაც. მაგ., თუ ხალხი თავს ანებებს სახელმწიფო სასამართლოებს და მათით არ სარგებლობს, ეს მაინცა-და მაინც არ არის შესაწუხარი მთავრობისათვის; პირიქით, რაც ნაკლები საქმეებია გასარჩევი სასამართლოში, მით უკეთესია ჩინოვნიკებისათვის, მით უფრო მეტი დრო აქვთ ბანქოს სათამაშოდ, ქეიფისა და გასართობებისათვის. ასევე ითქმის სკოლებზე; ისეთ ქვეყანაში, სადაც ყოველი ახლად გახსნილი სკოლა თვალის ეკალია ადმინისტრაციისათვის, ხალხისაგან სკოლების მიტოვება მაინცა და მაინც არ არის მთავრობისათვის შესაწუხარი. სულ სხვაა, როცა ბოიკოტი ვრცელდება ისეთ დაწესებულებებზე, როგორიც არის გადასახადების მიცემა და სამხედრო ბეგარის შესრულება. ფინანსები და ჯარი ორი აუცილებელი პირობაა თანამედროვე სახელმწიფოს არსებობისათვის. ამიტომ გასაგებია, თუ რისთვის იქმნა ჩვენი ხალხის ყურადღება უმთავრესად აქეთკენ მიქცეული. როცა უკიდურესობამდე მისულმა ხალხმა ნათლად დაინახა მთავრობის ყოვლად უნიჭობა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, როცა „ცხრა მთას იქით" ატეხილმა ომმა შთანთქა ხალხის მილიარდები და ასი-ათასობით ადამიანთა სიცოცხლე, როცა შინაურ ცხოვრებაში ქვეყანა, დაღუპვის გზაზე დამდგარი, უკვე მიადგა უფსკრულის კიდეს, და ასე მთავრობამ სრულიად დაჰკარგა გაწამებული ხალხის ნდობა,—მაშინ ხალხმაც დაიძახა: „არც ერთი კაპეიკი ხაზინას! არც ერთი კაცი ჯარებსო!" ამ გვარად სწყდება სასიცოცხლო ძარღვი, ურომლისოდაც არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლიან არსებობა. მთავრობა იძულებული ხდება წავიდეს კაპიტულიციაზე, დანებდეს ხალხს. ასეთი ბოიკოტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ანუ თითქმის მთელი ხალხი ერთ პირზე სდგას, ერთის აზრით, ერთის გრძნობით არის განმსჭვალული. თუ ამგვარ საშუალებას (ბოიკოტს) ხმარობს ქვეყნის მარტო ერთი კუთხე, ხალხის მარტო მცირე ნაწილი, მაშინ დამარცხება აუცილებელია, ბოიკოტი საშიშ უტოპიად ხდება.

როგორ არის საქმე საზოგადო გაფიცვის შესახებ? ამაზე ჩვენ ხვალ მოვილაპარაკებთ.

ვლ. დარჩიაშვილი.

მილიტარიზმი.

ფეოდალიზმის ნანგრევებზე აღმოცენებულმა აბსოლიუტიზმმა თავისი ტახტი მუდმივი ჯარის დაარსებით გაამაგრა. გავიდა რამდენიმე საუკუნე, აბსოლიუტიზმს ბოლო მოეღო და იმის ტახტზე ბურჟუაზიამ მოიკალათა, მაგრამ მუდმივი ჯარი არა თუ არ მოისპო, პირიქით, მისი რაოდენობა დღითი დღე იზრდება, იმის შესანახად საჭირო ხარჯი თანდათან მატულობს და იარაღის ტეხნიკაც საოცარის სისწრაფით ვითარდება. თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებას სულ ახალ-ახალი ბაზარი დასჭირდა და ბურჟუაზიამაც ეს ბაზარი აფრიკისა, აზიისა და სხვა ჩამორჩენილ ხალხთა შორის იპოვნა. გაჩნდა კონკურენცია, ჯიბრი, ქიშპობა და ბაზრების ტაციაობა. საჭირო გახდა ძველ ბაზრების შენარჩუნება და ახლების მოძებნა; საჭირო გახდა სტრატეგიულ გზების—ზღვებისა და ოკეანეთა—უზრუნველყოფა, რაიც, რასაკვირველია, მხოლოდ ფიზიკურ ძალით შეიძლებოდა. ევროპა შეუდგა შეიარაღებას: ააშენეს უზარმაზარი ვერფები, ააგეს აუარებელი ჯავშნოსნები, კრეისერები, ნაღმოსნები, ჩასვეს ძვირფას ფოლადის აბჯარში, შეაიარაღეს საშინელის ტორპედებითა და უთხეიდის ნაღმებით, რომელნიც 15 მილიონად ღირებულ გემს ორ წუთს ანადგურებენ; დასდგეს ზედ 12-დიუმიანი ზარბაზნები, რომელნიც 3000 მანათად ღირებულ ყუმბარას ათ ვერსზე ისვრიან,—და ამოდენა შრომა, ამოდენა ჯაფა, ფული და ოფლი წყალში ჩაუშვეს; დასხეს ზედ ათასობით ახალგაზრდობა, ასწავლეს ზარბაზნებისა და ნაღმების სროლა, გემების დაღუპვა, აფეთქება და რამდენიმე მილიონ მუშის ნაღვაწ-ნაოფლარი სავაჭრო ფლოტს მიუყენეს: ფრთხილად იყავი, ვაჭარსა და ფაბრიკანტს არავინ აწყენინოს და მუშტარი არ წაართვასო.

ამაზე უარესი ამბავი ხდება ხმელეთზე. რამდენიმე მილიონი ახალგაზრდა, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი რამის გაკეთება შეეძლო თავის ოჯახში, კაცობრიობისთვის და ქვეყნიერობისთვის, მუდამ საომარ იარაღებს უდგას გვერდით და ნაყოფიერ საზოგადოებრივ შრომისათვის დაკარგულია.

შეჰკრებენ რამდენიმე მილიონ თავისუფალ მოქალაქეს, შეაიარაღებენ თავიდან ფეხებამდის, დაამწყვდევენ მყრალ ყაზარმებში, მოაშორებენ მთელ ქვეყანას, ოჯახს, მშობლებს, ნაცნობებს; მოაშორებენ განათლებას, სინათლეს, დაუხშობენ ყოველგვარ ინიციატივას, მოუსპობენ პიროვნებას, განვითარების სურვილს, რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედებენ მექანიკურად, შთაუნერგავენ მონურ მორჩილებას, გადააქცევენ სამუდამო ყურმოჭრილ ყმად და ეტყვიან: ახლა წადი, მაგრამ არაფერი დაივიწყო და, როცა საჭირო იქნება „მეფისა და სამშობლოსათვის" სიკვდილი, მოდი და შენი სიცოცხლე ჩვენ ჩაგვაბარეო. და მართლაც, როცა ერთი მეფე მეორეს შეეკამათება, ან ერთი ქვეყნის ბურჟუაზია მეორე ქვეყნის ბურჟუაზიას მუშტრის წართმევას დაუპირებს, მეფის ერთი ბრძანებით სახელმწიფოს ყოველ კუთხიდან, ყოველ ქალაქიდან და ყოველ სოფლიდან რამდენიმე ასი ათასი ცოლშვილიანი და უცოლშვილო ცხვრის ფარასავით იკრიბება სადმე მანჯურიაში, ან სადმე ცხრა მთას იქით, იქ იხოცებიან, იჟლიტებიან, სახიჩრდებიან და მათხოვართა არმიას ამრავლებენ.

ახლა ისიც გამოიანგარიშეთ, თუ რა უჯდება სახელმწიფოს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მშრომელ ხალხს საერთო შეიარაღება და მუდმივ ჯარის შენახვა, და დარწმუნდებით, რომ მილიტარიზმი კაცობრიობის ორგანიზმს საშინელ მუწუკად აზის. მარტო ევროპას განუწყვეტლივ რამდენიმე მილიონი სალდათი უდგია ფეხზე; მარტო ევროპა ამ გაწვრთნილ მანქანაზე წელიწადში რამდენიმე მილიარდს ხარჯავს, ყოველ დღე ახალ-ახალ თოფ-ზარბაზნებს აკეთებს და მთელ ქვეყანას ციხეებითა, ფორტებითა, სანგრებითა და თხრილებით ავსებს. ამ არმიას დღე-და-ღამ ემსახურება რამდენიმე მილიონი მუშა, და განსაკუთრებით იმისთვის შექმნილი სამხედრო და სხვაგვარი მეცნიერება. მაგრამ ის, რაც გუშინ შექმნა იმისთვის სამხედრო მეცნიერებამ, რამდენიმე მილიონმა მუშამ, ლიტერატურამ და ათასგვარმა გამოკვლევამ, ყველა ეს ხვალ დაძველებულია, უვარგისია; დაძველებულია იმიტომ, რომ მეცნიერება ყოველ დღე ახალ-ახალ გაუმჯობესებულ იარაღებს იგონებს. და ყოველი ახალ და გაუმჯობესებულ სისტემის იარაღი ერთ დღეში კაცობრიობას კიდევ რამდენიმე მილიარდს ახარჯვინებს. იწყება ახალი შეიარაღება: ციხეებს ანგრევენ, თოფ-ზარბაზნებს ხელმეორედ ადნობენ, ჯავშნოსნებს შლიან, ჰყიდიან, თავიდან იშორებენ და რამდენიმე თვის შემდეგ ახალ აბჯარსა და ფარხმალს ისხამენ. წრეულს ინგლისმა ას მილიონად ღირებული სამხედრო ფლოტი რაღაც ორ თუ სამ მილიონად გაჰყიდა და იმის მაგივრად ორას თუ სამას მილიონად ღირებულ გემებს აშენებს! რუსეთმა ძველი სისტემის თოფები საწოლის ფეხებად გადააკეთა და 80 მილიონად ახალი შეიძინა!

და ასე დღითი დღე იზრდება, დიდდება და მრავლდება „მშვიდობიანობის დამცველი" არმია; იზრდება მათთვის მომუშავე პროლეტარიატიც, იზრდება იმათ შესანახად საჭირო თანხა, მაგრამ

---

*) იხ. „ნეუე ზეტ" „რუსეთის რევოლუცია და გლეხობა". ამ წლის მარტს თუ აპრილს ნომერში, კარგად არ გვახსოვს. ავტ.

*) იხ. „ივერიის" № 191, საომარი ტეხნიკა და რევოლუცია.

*) „ივერიის" მეთაურის ავტორს ეს გარემოება არ დავიწყებია და, თუ ამაზე იმ წერილში არაფერი სთქვა,—მხოლოდ ამიტომ, რომ მას მსჯელობა ჰქონდა გამართული იმ მდგომარეობის შესახებ, რომ ერთის მხრით მოწინააღმდეგე სდგას შეიარაღებული ჯარი და მეორე მხრით—ხალხი. შემდეგში, როცა ხალხის განვითარება მაღალ საფეხურს მიაღწევს, როცა ხალხი დემოკრატიულ იდეებს შეითვისებს და თავის ინტერესებს შეიგნებს, მოსალოდნელია და დაბეჯითებითაც შეიძლება ითქვას, რომ ჯარი ხალხის ხოცვას არ იკისრებს, რადგან ჯარში იმავე ხალხის შვილები არიან, რომელსაც გაბატონებული წრეები გაწყვეტას დაუპირებენ, მაგრამ დღეს კი ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ რუსეთის ჯარში ასეთი დემოკრატიული ცნობიერება იყოს თვალსაჩინოდ გავრცელებული. ამას ამტკიცებს ის საშინელი ამბები, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ დროს რუსეთის ქალაქებში, აგრეთვე ტფილისსა და კავკასიის სხვა ადგილებში. რედ.

ამავე დროს გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება მშრომელ ხალხის შეგნება და ის არმია, რომელიც თავის ოფლით ინახავს მყვლეფავთა დარაჯს, „მშვიდობიანობის დამცველ“ ჯარს. იზრდება ის ძალა, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს მთელს იმ წესწყობილებას, რომლის შვილი მილიტარიზმია.

მაგრამ ეს ძალა ჯერ არსად ისე ძლიერი არაა, რომ დღესვე შეეძლოს მილიტარიზმის მოსპობა. თანამედროვე, კაპიტალისტურ წარმოების დაუნგრევლად მუდმივ ჯარის გაუქმება არ შეიძლება. ვინ იტყვის, რომ კერძო საკუთრების მოუსპობლად მილიტარიზმის შეჩერება შეიძლებაო! როგორ შეიძლება ადამიანს თავი მოჰკვეთო და ის ცოცხალი დარჩეს! მუდმივი ჯარი და კაპიტალისტური წარმოება ერთ მთლიანსა და განუშორებელ ორგანიზმს შეადგენენ. ერთი მეორის ნაშობია, ერთი მეორით ცხოვრებას და ურთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიანთ.

მუდმივ ჯარის მოსპობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთო, სოციალიზმის განხორციელების საკითხთან და მისი გამოცალკავება არას გზით არ შეიძლება.

მილიტარიზმთან ბრძოლა ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ აგიტაციით, პროპაგანდით, სამშვიდობო ლიგების დაარსებით და უფრო კი— საერთო პოლიტიკურ გაფიცვით ომის დროს და გადასახადის მიცემაზე უარის თქმით.

საჭიროა ანტი-მილიტარიზმის იდეის გავრცელება, საჭიროა ანტი-მილიტარისტთა არმიის გაზდა, გადიდება და გაძლიერება; საჭიროა პროპაგანდა, პროპაგანდა და ისევ პროპაგანდა!

მ. ად—ლი.

ცოტა რამ სამღვდელოებაზე

(მოგონება)

დღეს მთელი რუსეთი შეძრწუნებულია იმ ამბებით, რომელიც მოხდა „თავისუფლების“ გამოცხადების შემდეგ. მოჩვენებული „თავისუფლება“ ლამის შთანთქან მომაკვდავ მთავრობისაგან წაქეზებულმა შავმა ძალებმა, რომელთა მეთაურად გამხდარან არა მარტო „ერის კაცნი“, არამედ ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელნიც, **მღვდლები და ბერები**, ეს „მარილნი ქვეყნისა და მოადგილენი ქრისტესი“, როგორც თავის თავს უწოდებენ.

რუსეთის სატახტო მოწინავე გაზეთები აღშფოთებულნი არიან ზოგიერთა მღვდლებისა და ეპისკოპოსების ნაქადაგევით. როდესაც დაჰკრა რევოლუციის საათმა ეს „ჭურჭელნი სათნოებისანი“, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებენ და მათ-მიერ საუკუნოებით მოტყუებულ-დაბრიყვებულ მრევლს ერთხელ კიდევ ამხედრებენ თავისუფლების მებრძოლთა წინააღმდეგ: ამხედრებენ ინტელიგენტთა ამოსაჟლეტად, სტუდენტთა ამოსაწყვეტად, საზოგადოების უკეთესისა და შეგნებულის ნაწილის გასამუსრავად.

ხალხისაგან წმინდა ადგილად ცნობილ ამბიონიდან მოუწოდეს მათ მიერ დარეტიანებულ შავ-ძალებს და ქრისტეს სახელით ხალხის ამოჟლეტა ურჩიეს. საიდუმლოებით მოცულ ტრაპეზიდან გამოიტანეს ჯვარი და მისი სახელით მოუწოდეს—გაენადგურებინათ სიმართლე და თავისუფლება. აი, თურმე ამას ჰქვიან ქრისტეს სამსახური!

დღეს რუსეთში ბევრმა მღვდელმა და ბერმა ისახელა თავი ამ მხრივ, მაგრამ, როგორც გაზეთებიდანა სჩანს, ყველაზე სახელოვანნი შექმნილან საქართველოს კარგად ნაცნობი ექსარხოსად ნამყოფი, აწ კი მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი და სემინარიის ყოფილი ინსპექტორ-რექტორი გერმოგენი—დღევანდელი ეპისკოპოსი სარატოვისა.

ვლადიმირ, გერმოგენ! ეს სახელები თავის დღეში არ დაავიწყდება იმათ, ვინც იმათ დროს სასულიერო სასწავლებლებში სწავლობდა, ვინც თავისს თავზე განიცდიდა მათ შავბნელ პოლიტიკას, მათ უსამზღვრო და უსინიდისო ძალმომრეობა-დამცირებასა.

გერმოგენმა მოიწვია ვოსტორგოვი და მერე შეჰქმნა უკუღმართად სახსენებელი „ვოსტორგოვის სისტემა სკოლების მართვა-გამგეობისა“, მხოლოდ ვლადიმირმა კი ნიადაგი მოუმზადა ამ „სისტემა“-ს და ბევრი შავი დღე აწვნევინა მონად ქცეულ ქართველ სამღვდელოებას და მათ შვილებს.

დღეს გაზეთი „სინ ოტეჩესტვა“ თავ-გამოდებითა თხოულობს, რომ მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი, ეს გარეგნობით „სათნოებისა და უმანკოების ანაფორაში გამოხვეული“, მხოლოდ საქმით კი სისხლის მსმელი ყორანი, დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან და სამართალში იქმნეს მიცემული ხალხთა ამოსაწყვეტად მოწოდების გავრცელებისათვის... ასე მოღვაწეობს თურმე ვლადიმირი მოსკოვში.

მაგრამ მე ამ ათის წლის წინადაც ვიცოდი, ამ მწყემს მთავარის ნამდვილი სახე. ყველას, ვისაც სემინარიაში უსწავლია, ეცოდინება, რომ იგი საარქიელო კაცი კი არა, საჯალათო იყო. ვისაც ჰქონია უბედურება განეცადა ის რეჟიმი, რომელიც მეფობდა სემინარიაში და რომლის სულის ჩამდგმელი იყო ექსარხოსი ვლადიმირი, არ გაუკვირდება, რომ ეს მღვდელთ-მთავარი დღეს თურმე ბნელ ხალხს უქადაგებს—ინტელიგენცია და სტუდენტები გასწყვიტეთო.

ოთხმოცდა ათიან წლებში ისე გაათახსირეს ტფილისის სასულიერო სემინარია, ისე დაამცირეს იქ მოსწავლენი და იქაური სწავლა, ისე შეჰკრეს და შებოჭეს მოწაფეთა სული და გული, რომ კინაღამ სული არ ამოგვხდა. გაამრავლეს ჯაშუშები, გაამრავლეს პროვოკატორი მასწავლებლები, გაამრავლეს უტვინო და უსულგულო ზედამხედველები, ერთი ეროვნების მოწაფენი მეორეზე გადაჰკიდეს, ერთი მასწავლებელი მეორის წინააღმდეგ აამხედრეს, გამოდევნეს ჟურნალ-გაზეთობა, წიგნები, მოგვწყვიტეს საზოგადოებას, დახშეს სემინარიის კარები, მოგვიმწყვდიეს შიგ და სწავლების მაგივრად, ყოველდღე გვლანძღავდნენ, გვაგიჟებდნენ, ჩვენ წარსულსა და აწმყოს „ძაღლურს“ ეძახდნენ. გაგვიმწარდა სიცოცხლე და ერთ მშვენიერ დღეს შევაფურთხეთ ჩვენ პროვოკატორ მასწავლებლებლებს, გავლანძღეთ ჩვენი დამონებულ-დაშინებული მამები,—რომელთაგანიც ბევრი ერთის სკუფიის გულისათვის ცოლშვილს გაჰყიდდა,—დავივიწყეთ მომავალი და სწავლა შევწყვიტეთ (1893 წლის 1-ს დეკ.).

ამ დროს ექსარხოსობდა ვლადიმირი. ერთი რაღაც გამხდარი, ძვალ-ტყავად ქცეული, გარეგნობით საცოდავი სანახავი იყო, მაგრამ უნდა დაჰკვირვებოდით მის ბოროტ თვალებს, რომ მთელი ქვეყნის სივერაგე განგეცადნათ.

და, აი, ამ ბოროტი თვალების წინაშე ვიდექ მე ერთ დროს და ამხანაგების მოთხოვნილებათ ვუხსნიდი. დიდხანს ველაპარაკე, მაგრამ მგონი არა გაუგიარა. იგი თანდათან ბრაზდებოდა, იფხორებოდა, ბოლოს თვალები სისხლით აევსო, კუნკულა გვერდზე მოექცა და დამიყვირა:

— თქვენ სოციალისტები ყოფილხართ... თქვენ რაღაც საქართველო გახსოვთ... ვინ მოგცათ ენა, რჯული, ხატი, კულტურა... თქვენ ბარბაროსები ხართ... თქვენ ყველა უნდა ჩამოგარჩოთ... მაშ თუ აგრეა, გადით პროსპექტზე, იქ გამოაცხადეთ თქვენი გულის-თქმა და ერთ წუთს გაგჟლეტავთ ყველას, გაგანადგურებთო!.. *)

დაიყვირა და მეორე ოთახში გავარდა. ეს იყო მისი ზრუნვა, ეს იყო მისი არქიელური ზომების მიღება.

მას შემდეგ მე იგი აღარ მინახავს, მაგრამ 22 ოქტომბერს რომ პროსპექტზე ხალხსა ჟლეტავდნენ, გამახსენდა ეს სიტყვები, წარმომიდგა მისი მიკნავებული სახეც და გულმა ერთი ათად კვნესა დამიწყო.

აღსრულდა მეთქი იმ ბერის სიტყვები და, ვაი იმას, ვინც იმისი ყმა იყო!—ვბუტბუტებდი ჩემთვის.

მართლაც, ვაი, იმას ვინც, ახლა მაინც არ მოინანიებს თავისს ცოდვებს და ვაი, ჩვენს სამღვდელოებას, თუ რომ იგი მისი პოლიტიკისა და ლოცვა-კურთხევის მიმდევარი იქმნება, როგორც იყო იმ შავ-ბნელ დროს, როდესაც ვლადიმირმა მთელი სემინარია დაჰლუპა და ჩვენი სამღვდელოება კი მაინც ფეხს ულოკავდა!...

ია ეკალაძე.

მშვიდობიანი რევოლუცია ფინლანდიაში

ჰელსინგფორსში მღელვარება 18 ოქტომბერს დილით დაიწყო. აუარებელი ხალხი შუადღემდის ქუჩა-ქუჩა დადიოდა ეროვნულ სიმღერით და მოქალაქეთ ქუჩაში იწვევდა. ორ საათს რამდენიმე ათი ათასი კაცი გენ.-გუბერნატორის ობოლენსკის სასახლეს მიადგა და გუბერნატორს მოსთხოვა, სენატორები დაითხოვეთ და ჩვენი დეპუტატები მიიღეთო. ხალხს პასუხი გასცა ნიულანდის გუბერნატორმა: ამ ჟამად გენ.-გუბერნატორს არ სცალიან, რადგან სენატორების კრებას თავმჯდომარეობს, და გთხოვთ მოიცადოთო. ხალხმა ცდა არ ისურვა და აღელდა. ცოტა ხნის შემდეგ აივანზე გუბერნატორი გადმოდგა და ხალხს განუცხადა, თქვენი სურვილი შესრულდა, სენატორებმა სამსახურს თავი დაანებესო.

გენ.-გუბერნატორს რევოლუციონერების დეპუტაცია წარუდგა. დეპუტაციას მეთაურობდა ცნობილი რევოლუციონერი გუმერუსი, რომელმაც გენ.-გუბერნატორს ხალხის მოთხოვნილებანი გადასცა ფინლიანდიის სრულ ავტონომიის შესახებ და თვითონ გენ.-გუბერნატორს სთხოვა, თქვენთვის გემი მზად არის და გთხოვთ მიბრძანდეთო. გენ.-გუბერნატორისთვის დანიშნულ გემს ნავთ-სადგურის უფროსი, გენ. შემანი უფროსობდა. გენ. შემანი რუსეთის სახელმწიფო სამსახურში ითვლებოდა, იმან იკისრა გენ.-გუბერნატორისა და ხალხის შორის მედიატორობა.

რევოლუციონერების შემდეგ გენ.-გუბერნატორს მეორე დეპუტაცია წარუდგა კონსტრენისა და ცნობილ მოღვაწისა და სენატორად ნაყოფის ლეო მეხელინის წინამძღოლობით. მეხელინი აღელვებული იყო და გენ.-გუბერნატორს მეტად მკვახედ ელაპარაკებოდა. მან წაუკითხა ფინლიანდიელების მოთხოვნილებანი, რომელიც შემდეგ პეტერბურგში ხელმწიფეს გაუგზავნეს.

შემდეგ იმოდენა ხალხი დაიძრა და ეროვნულ სიმღერებით სენატის უზარმაზარ მოედანზე გავიდა. იქ საღამომდის გახურებული აგიტაცია იყო.

პოლიციამ იარაღი დაჰყარა. სენატისა, უნივერსიტეტისა და საბიჟოს შენობებზე ფინლიანდიის დროშები აფრიალეს. საღამოზე ქალაქში გაჩნდა ფინლიანდიის ეროვნული გვარდია, რომელსაც იმ ღამეს მშვიდობიანობა უნდა დაეცვა. იმ საღამოსვე ეროვნულმა გვარდიამ ჟანდარმებსაც იარაღი აჰყარა და დააპატიმრა. ღამე ფინლანდის სარევოლუციო მთავრობამ მთელ ფინლიანდიაში შიკრიკები გაგზავნა და მობილიზაცია გამოაცხადა. მთელი ფინლანდია მაშინვე ფეხზე დადგა. ხელად წინდაწინვე მომზადებული იარაღი დაარიგეს, საბრძოლველი რაზმები შეადგინეს, ჭრილობის შესახვევი საავადმყოფოები დააარსეს და ყოველ მხრივ მოემზადნენ. ყველა ქალაქებში დილიდან საღამომდის რაზმებს თოფის სროლას ასწავლიდნენ და ავარჯიშებდნენ. ამ დღეს გენ.-გუბერნატორთან მივიდა სოციალ-დემოკრატების დეპუტაცია მატი კურიკას მეთაურობით, რომელმაც ფინლანდიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით ფინლიანდიისთვის ავტონომია მოითხოვა.

რუსები სვეაბორგში გადასახლდნენ. ფინლანდელებმა აბოს გუბერნატორი დააპატიმრეს. გენ.-გუბერნატორს ფინლანდიის სარევოლუციო პარტიამ ეროვნული გვარდია მიუყენა დარაჯად. გენ.-გუბერნატორის კაბინეტში, კიბეებზე და შესავალ კარებთან შეიარაღებული ფინლიანდელები იდგნენ და გუბერნატორს იცავდნენ.

21 ოქტომბერს გენ.-გუბერნატორი თავ. ობოლენსკი სასახლიდან გამოვიდა და გვარდიის თანხლებით რუსეთის ესკადრაზე გადავიდა.

ამავე დღეს ჰელსინგფორსის მახლობლად 30,000 შეიარაღებული გვარდიელი შეიკრიბა. ამ ჯარს ტყვიის მფრქვევლებიც ჰქონდა და ზარბაზნებიც. 22 ს ხელმწიფის მანიფესტიც მოვიდა: ხალხმა სურვილი შეისრულა და ავტონომია მიიღო.

ეროვნულ გვარდიის უფროსად დაინიშნა კაპიტანი კოძე. დროებითი მთავრობა შეადგინეს მეხელინმა, როზენდალმა, შაუმანმა, ხომენმა, ერკომ და გრიპენბერგმა. რკინის გზები ეროვნულ გვარდიის ხელში გადავიდა («ნ. ვ.»).

სიტყვა.

თანამოაზრეებო და საზოგადო სიყვარულით გამსჭვალულო მოძმეებო! მის შემდეგ, რაც კი წინასწარმა ორატორებმა გიხრეს, მე ახალი აღარა დამრჩენია რა სათქმელად და, როგორც სვიმონ მოხუცებული, ახალ დროს მიმგებელი, გილოცავთ მხოლოდ ამ აწინდელ კეთილ ხანას და გმადლობ ჩემ ბედსაც, რომ მომასწრო იმ ბედნიერებას, რასაც ამ ნახევარ საუკუნის წინეთ ვნატრობდი და მხოლოდ იდეალად ვისახავდი.

დღეს ის შენობა, სადაც ვიყავით გამომწყვდეული, ირღვევა და იმის წილ ახალი, დროს შესაფერი, უნდა აიგოს. ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი, მიხვეულ-მოხვეული გზა და გავიყვანოთ ახალი: უფრო სწორე, პირდაპირი და თამამად გასავლელი. ბრძენთა-ბრძენი ამბობს, რომ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიაო“. დღეს სწორედ ვარდის საკრები დრო გვიდგება და უნდა ვეცადოთ, რომ ეკალს მოვერიდოთ. საფრთხილე სიმხდალე არ არის!.. ყველაზე დიდი ეკალი უთანხმოება არის, ის უთანხმოება, რომელიც ასუსტებს ხალხის ძალას!.. მეცხვარის ძაღლებმაც კი იციან, რომ ჯერ გარეშე მტრის მოგერიება უნდა შეერთებულის შრომით და მერე შინაური ბრძოლა.

დღეს ჩვენები რამდენიმე წრედ არიან გაყოფილნი, რომ ერთმანეთს წინააღუდგნენ, თუმცა ცალ-ცალკე კი ყველას ერთი და იგივე უწერიათ დროშაზე: „ძმობა, ერთობა და სიყვარული!“ ეს უბრალო შეცდომა უნდა გასწორდეს!. შეერთებულად უნდა მივადგეთ ყველანი ახალ შენობას. რასაც დღეს გვაძლევენ, ეს წყალობა არ არის... იძულებითაა... ხალხის ოფლის ღვრითა და სისხლის თხევით მოპოვებული, და ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ უარი ვყოთ! უნდა მივიღოთ, მაგრამ კი არ უნდა დავჯერდეთ. ეს არის მხოლოდ ნაწილი და ჩვენ კი სავსებით უნდა ვეძიოთ. ამ მცირედმა რამ ვერ უნდა მოგვისპოს სურვილი!.. ღრმად უნდა ჩავინერგოთ გულში, ვეცადოთ და, თუ ჩვენ ვერ მოვესწრებით, შვილსა და შვილიშვილებს ვუანდერძოთ. და ისინი მაინც უეჭველად გაიმარჯვებენ... ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია, და სტიქიონება—გამარჯვება!.. წინ ვერა დაუდგება-რა!..

ამიტომაც გისურვებ თქვენს სიფრთხილით წინმხედველობას, შორს-მჭვრეტელობას და ამ დღევანდელ ენერგიის საფლავში თან ჩატანას!.. ეს არის ჩემი უკანასკნელი ნატვრა-სურვილი, და აწ კი მშვიდობით და გამარჯვებით!

აკაკი.

კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის კრებები მოსკოვში (12—18)

წერილი მოსკოვიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

რადგანაც სარევოლუციო მოძრაობა მოსკოვში მეტად გამწვავდა (გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე 10,000 მუშამ), დასალევი წყალი შესწყდა, ქუჩები სიბნელემ მოიცვა, პური თითქმის აღარ იყო, აღარც ხორცი; წერილები და დეპეშები არსაიდან არ მოდიოდა, ერთი სიტყვით, რადგანაც მოსკოვი მტრისგან ალყაშემორტყმულ ქალაქს დაემსგავსა, კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის კრების თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა პროგრამის შემუშავება-შემდეგისთვის გადაიდოს და პირველად გამოვარკვიოთ პარტიის აზრი გაფიცვის შესახებაო.

ბ-ნმა მილიუკოვმა წაიკითხა თავისი და პარტიის ბიუროს აზრი და წინადადება შეიტანა— კრებამ განიხილოს და თუ წინააღმდეგი არ იქმნება, მიიღოს კიდეცაო. აი მილიუკოვის ტექსტი:

„მთელ რუსეთში ახლა გასაკვირველი, როგორც სიდიადით, ისე ხასიათით, შეკავშირებულ მუშათა მოძრაობა ხდება. ეს მოძრაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული წინანდელ თავისუფლებისათვის ბრძოლასთან და ხალხის უფლებათა მომხრეებისთვის შეუძლებელია იჭვი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უყუროს ამ მოძრაობას. რომ ამ ამბებს აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, ამას აღიარებს ყველა, პარტიების განურჩევლად; უკიდურესი მტრებიც, დაბრმავებულნი მოწინააღმდეგენიც კი გრძნობენ, რომ ეს მოძრაობა მეტის-მეტი სერიოზულია და სრულებით არ ჰგავს უკმაყოფილებით გამოწვეულს უბრალო, ჩვეულებრივ „აფეთქებას“. ეხლანდელ მოძრაობას ახასიათებს საკვირველი ძალა და თავდავიწყება. ეს მოძრაობა არ არის სტიქიური; მან იცის, რაც უნდა და საითკენაც მიისწრაფვის. ყველა ამ მოსაზრებით ახლად დაარსებული კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია თავის თავს მოვალედ სთვლის გამოარკვიოს თვისი განწყობილება და აზრი ამ მოძრაობის შესახებ. გაფიცულ მუშების მოთხოვნილება უმთავრესად შეეხება ძირითად თავისუფლების მოპოვებას, ხალხის წარმომადგენლების თავისუფლად ამორჩევას დამფუძნებელ კრებაში საერთო, თანასწორ პირდაპირ და დაფარულ კენჭის ყრით, და საერთო პოლიტიკურ ამნისტიას. ყოველნაირ ეჭვს გარეშეა, რომ მუშების ასეთი მიზანი საერთოა კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიის მოთხოვნილებასთან. რადგანაც ჩვენს და მათ მიზანს შორის ესეთი თანხმობაა, კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია თავის მოვალეობად სთვლის გამოაცხადოს, რომ იგი სულით და გულით თანაუგრძნობს მუშების გაფიცვას. ჩვენი პარტიის წევრები ყოველთვის ამ მიზნის განსახორციელებლად იბრძოდნენ და მათ შორის თავის დღეში არა ყოფილა ის აზრი, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა რაიმე მოლაპარაკება მთავრობასთან. სხვადასხვა მიზეზებისა გამო მთავრობა ყოველთვის უცოდინარი და მოუმზადებელი იყო დროს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის; იგი ძლივს-ძლივობით აკეთებს დღეს მას, რაც საჭირო იყო გუშინ, და ამ ნაირად ყოველთვის მეტს-მეტად აგვიანებს.

მთავრობამ გამოაცხადა გუბერნატორის უფლებათა დეცენტრალიზაცია მაშინ, როდესაც რუსეთი პოლიტიკურ თავისუფლებასა თხოულობდა. მან გამოაცხადა სარწმუნოების თავისუფლება, მაგრამ არსებულ კანონების საზღვრებში. იგი დაგვპირდა ცვლილებათა მოხდენას, და ყველაზე უსაჭიროესი ცვლილება—პოლიტიკური წარმომადგენლობა—მან გამოაცხადა წუთიერ გატაცებად. შემდეგ მან აღიარა, რომ ეს გატაცება მეტად სერიოზულია და სცადა დაეკმაყოფილებინა ხალხი იმით, რომ მიუმატა ცენზიური დაწესებულება ძველ ბიუროკრატიულ კანონმდებლობის ორგანოს. მთავრობის ამნაირმა დაუსრულებელმა გაჭიანურებამ ის შედეგი მოიტანა, რომ მისი დაპირება აღარავის არა სწამს. რუსეთის ხალხი დაიღალა და აღარა ჰსურს განიცადოს თავის თავზე ბიუროკრატიულ რეფორმების „გამოცდა“. რუსეთის ხალხი მწიფე პოლიტიკური ძალებით საკმარისად მდიდარია იმისთვის, რომ თვისი ბედი თვითვე განაგოს, და ამიტომ იგი არავითარ ოპეკას აღარ საჭიროობს. კითხვა ეხლა იმაში აღარ მდგომარეობს, იქმნება, თუ არა რუსეთში პოლიტიკური თავისუფლება, არც იმაში, მოცემული იქნება იგი მაღლიდან, თუ არა? კითხვა მხოლოდ იმაშია: ეს თავისუფლება როგორ განხორციელდება, ძალადობით, თუ მშვიდობიანის გზით? სტიქიური აფეთქება წარმოშობს მას, თუ ხალხის ორგანიზაციული მოქმედება? ამ მხრით კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია მხურვალე სალამს უძღვნის იმ დიდ ნაბიჯს, რომელიც გადადგა ხალხმა, ჩვენი პარტია სალამს უძღვნის „პოლიტიკურად უფლება-მოკლებულს, მაგრამ საზოგადოებრივად ძლიერ“ რუსეთის მუშათა ხალხის მშვიდობიან, მაგრამ საზარელ ბრძოლას.

მთავრობას შეუძლიან განიერი გზა მისცეს ხალხის თავისუფლებისადმი დიად მსვლელობას, ან გადააქციოს იგი სისხლის ღვრად. 9 იანვარმა მთავრობას ისეთი გაკვეთილი მისცა, რომ, შესაძლებელია, იგი აღარ მოიმდომებს მის განმეორებას და აღარ დაიმსახურებს „მკვლელის“ სახელს. მაგრამ, თუ იგი მაინც კიდევ ჩაიდენს ასეთ რამეს, დაე, იცოდეს, რომ, რაც კი არსებობს რუსეთში თვით-შეგნებული და განათლებული, ხალხის მხარეს დაიჭერს. კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია ეცდება ხალხს თავიდან აცილოს 9 იანვარისთანა ამბები. მაგრამ შესძლებს თუ არა ამას? იგი წინდაწინვე აცხადებს, რომ მისი მოთხოვნილება იგივეა, რაც ხალხისა და ხალხის განთავისუფლების სასწორზე სდებს იგი მთელ თვის თანაგრძნობას, ზნეობრივ ძალას და ამ განთავისუფლებას გაუწევს იგი ყოველგვარ დახმარებას“.

ამ ტექსტიდან უნდა ამოიშალოს ყველა ის, რაც შეეხება მშვიდობიანურ ბრძოლასო.

ბ-ნი ჩუპროვი უსაყვედურებს კრებას; „ცხოვრება დუღს“, ჰბადებს ახალ-ახალ მოთხოვნილებას და ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ თანაუგრძნობთ და სხვა არაფერიო. ჩვენი მოვალეობაა აქტიურად შევუერთდეთ იმ ხალხს, რომელიც თავგანწირულად იბრძვის. თქვენც კარგად იცით, რომ მებრძოლი ხალხი ლიბერალებს ზიზღით გვიყურებს მხოლოდ იმიტომ, რომ აქტიურ ბრძოლაში ჩვენ მონაწილეობას არ ვიღებთ“.

ბ. ლედინსკიმ ამას დაუმატა, რომ ქალაქში არსდება შავი რაზმი, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. კოლცოვმა სთქვა, რომ იმ დროს, როცა ჩვენ აქ პროგრამის შემუშავებას ვანდომებთ მთელ დროს, ქუჩებში გაისმის მხურვალე სიტყვა. თქვენ იცით, რომ საზოგადოების ამოწყვეტის კომიტეტი დაარსდა („შავი რაზმის დამაარსებელნი“), ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, დავაარსოთ საზოგადოების გადამრჩენი კომიტეტი. მილიუკოვი ამბობს, რომ ესეთი კომიტეტი უკვე არსებობსო.

ტფილისის მოურავათ ნამყოფი ვერმიშევი დასძენს, რომ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: ურთი-ერთობა გამწვავდა. ახლა ორში ერთი უნდა აირჩიოს ყოველმა ადამიანმა. ან აქტიურათ უნდა ხალხის მხარე დაიჭიროს, ან მის წინააღმდეგ წავიდეს. ესეთი ამბები, დიდი ხანია, ხდება კავკასიაში. იქ მთელი მუშა-ხალხი ან ს.-დემოკრატებს მიუდგნენ, ან სოციალისტ-რევოლუციონერებს. იქ ორ სკამზე ჯდომა შეუძლებელია. საჭიროა ლიბერალები მივიდნენ და ხელი გაუწოდონ სოციალისტურ პარტიებს, საჭიროა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ ჩვენ შემცდარნი ვიყავით, როდესაც გვეგონა, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი გზა; ეხლა ჩვენ ჩვენი შეცდომა შევიგნეთ და თქვენთან ერთად გვსურს ვიბრძოლოთ თავისუფლებისთვის. ბ. ნამენტოვსკიც იმ აზრს გამოსთქვამს, რომ კავკასიაში, დიდი ხანია, რევოლუცია დაიწყო. იქ თქვენ, ცენტრის მცხოვრებთ, გელოდებიან, ნუთუ კიდევ დიდი ხანი იქნებით დაჩუმებულნი.

ბ. ჩუმანსკი ამბობს, რომ რევოლუცია დაიწყო და ჩვენც უნდა იარაღი ავისხათ. ბ. სმირნოვის აზრით, საჭიროა ახლავე დროებით მთავრობა ავირჩიოთ. მოსკოვი ყველაზე კონსერვატიულ ქალაქად ითვლებოდა და საჭიროა, რომ აქ დავამარცხოთ რეაქცია. ქალბატონი ბიზრინსკაია, კრებას მოუწოდებს რევოლუციისკენ. ბ. მურავიოვი უბრუნდება ბიუროს რეზოლუციას და ამტკიცებს, რომ „მშვიდობიანური მოძრაობა“ უთუოდ უნდა ამოშლილ იქმნას. ჩვენ უნდა ნათლად გამოვაცხადოთ, რომ ხელი ხელ-ჩაჭიდული მივდივართ მათთან ერთად, რომელნიც რევოლუციისთვის იბრძვიან.

კრებამ მილიუკოვის შედგენილ რეზოლუციის ტექსტი უცვლელად მიიღო.

ფ. ნ.

ოდესის აკლება

(წერილი ოდესიდან)

გუშინ დილით, 19 ოქტომბერს, გამოგიგზავნეთ წერილი და მასალა „ივერიისათვის“, მაგრამ ალბად მე უფრო ადრე ჩამოვალ, ვიდრე ის წერილები. ოდესა ახლა საშინელ სურათს წარმოადგენს ბარბაროსთა აკლება აწიოკებისას. ყველა ბნელი ძალები აქ ერთად შეერთდნენ უკანასკნელ შურისძიებისათვის. ფოსტიდან რომ გამოვტრიალდი, უმთავრეს—დერიბასოვის—ქუჩაზე წამოვედი, რადგანაც ჩემი სასტუმრო აქ იმყოფება, ქვევიდან შემომესმა საშინელი კივილი და ხმაურობა, ხალხი აქეთ-იქით გარბოდა; მე შევკრთი, რადგანაც არ ვიცოდი, რა ამბავი იყო. წინა დღით ოდესა დიდებულ სურათს წარმოადგენდა; მთელი ქალაქი გარედ იყო დილიდან საღამომდე და ყველას სახე უბრწყინავდა, თვალები უცინოდა; ახლა კი ვისაც შევხედავდი, ყველას შიში ეხატებოდა სახეზე. დავეკითხე ერთს, რა ამბავია მეთქი, და მიმავალმა მოკლედ მიპასუხა: ძარცვა-რბევა და ხოცვა დაიწყებაო. კივილი თანდათან ახლოვდებოდა და ბოლოს დავინახე ურიცხვი ბრბო ხულიგანებისა; მათ წინ მოჰქონდათ ბაირაღები, ხელმწიფისა და დედოფლის სურათები, ხატები და რევოლვერების სროლითა და ვაშას ძახილით წინ მიდიოდნენ. მე ჩემს სასტუმროს მივაშურე, რომელიც იქვე იყო. ამავე დროს ხულიგნების სხვადასხვა ბრბო სხვადასხვა ალაგებში მანიფესტაციას ახდენდა; როცა ურიებს შეხვდებოდნენ, სცემდნენ, ხოცავდნენ; ბევრგან ურიების ოჯახებში შევარდნენ და აიკლეს იქაურობა. დერიბასოვის ქუჩაზე აიკლეს „სამხრეთის უწყებები“-ს რედაქცია. როდესაც სასტუმროს მეკარეს ვკითხე: ხულიგანებმა რა იცოდნენ, რედაქცია სად იყო, ან რა ჯავრი სჭირდათ ამ რედაქციისა მეთქი, მან ჩაიცინა და მითხრა: ხულიგანებში ხულიგანურად ჩაცმული პოლიციელები ურევიან—ისინი აქეზებენ ხალხს და მიჰყავთ, სადაც უნდათო.

სტუდენტებმა შეადგინეს მილიცია, რომელმაც ალაგ-ალაგ შეაჩერა ხულიგანები, იარაღით დაუხვდა, ბევრი ხულიგანი დაიჭირეს კიდეც და უნივერსიტეტში დაამწყვდიეს, მაგრამ პატარა მილიცია რას გააწყობდა ურიცხვ და დამთვრალ ბრბოსთან! საინტერესოა შემდეგი: ყველა სტუდენტების მიერ დაჭერილ ხულიგანს ჯიბეში თითო ბოთლი არაყი აღმოუჩნდა. გამოკითხვის დროს ყველამ სთქვა: თითო ბოთლ არაყსა და თითო მანეთს გვირიგებენ წინდაწინაო! ერთ დაჭერილ ხულიგანს ტანისამოსი რომ გახადეს, პოლიციელი აღმოჩნდა! ვისაც დავეკითხებოდი, —ყველა ერთხმად მეუბნებოდა: ხულიგანებში პოლიციელები და მეეზოვეები ურევიან, თორემ მარტო ხულიგანები როგორ გაბედავენ ამასაო.

საღამოს სამი საათიდან მე თვითონ ვიყავი იმის მოწმე, თუ როგორ დღესასწაულობდენ კონსტიტუციას პოლიცია, კაზაკები და ხულიგანები. დერიბასოვის ქუჩაზე არის ერთი საუკეთესო მაღაზია ოქროულობისა და ძვირფას თვლებისა; მაღაზია ურიას ეკუთვნის. ნაშუადღევის სამ საათზე ხატებითა, ხელმწიფისა და დედოფლის სურათით ხულიგანების ერთი ბრბო მოადგა ამ მაღაზიას და რკინის კეტებით დაუწყო მაღაზიის ტეხა. მაღაზიის პირდაპირ ჩვენი სასტუმროა. ამ დროს გამოჩნდნენ ცხენოსანი კაზაკები, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ხულიგანები გაეფანტათ, ჩვენ,—ვინც სახლების აივნებზე ვიყავით,—თოფები მოგვიღერეს და დაგვიყვირეს: სახლში შედითო! ჩვენ ჩვენ-ჩვენს ოთახში შევედით, ქუჩა დაცალიერდა, მხოლოდ ხულიგნები მაღაზიას ამტვრევდნენ, კაზაკები კი ხან დაიმალებოდნენ, ხან გამოჩნდებოდნენ და მხოლოდ აივნებისაკენ იყურებოდნენ დამზადებულ თოფებით, ხომ არავინ იყურებაო. დაღამდა და თანდათან ჩამობნელდა. ხულიგანები ხატებით და მეფის სურათით ხელში მუშაობდნენ ერთგულად და ჩვენ ყოველივეს ფანჯრებიდან ვხედავდით. სასტუმროში აღარც ელექტრონი აგვანთებიეს, აღარც სანთელი: სინათლეზე კაზაკები თოფს დაგვიშენენო. როდესაც მე გაკვირვებული ვიტყოდი: ჩვენ რათ უნდა დაგვიშინონ, რას ვაშავებთ-მეთქი, ერთმა მდგმურმა მიპასუხა: მალე მაღაზიის ძარცვას დაიწყებენ, ლომის კერძს კაზაკები წაიღებენ და არ უნდათ, რომ სხვა ვინმემ ფანჯრებიდან ეს დაინახოსო. კარგად დაღამდა, რომ მაღაზია გასტეხეს და ხულიგანები შეცვივდნენ შიგ. ოცი წამი არ გასულა, რომ კაზაკები გამოჩნდნენ და გამწკრივდნენ ქუჩაზე. როცა ნაქურდალით ხულიგანები მაღაზიიდან გამოდიოდნენ, ჯერ კაზაკებთან მიდიოდნენ; ქუჩაში ელექტრონი ენთო და ჩვენ ფანჯრებიდან საუცხოოდ ვთვალიერებდით, როგორ სინჯავდნენ კაზაკები ნაქურდალს: ზოგს თვითონ იტოვებდნენ და დანარჩენს ხულიგანებს უბრუნებდნენ. თითქმის მთელი ორი საათი ვუყურებდით ყოველივე ამას, მაგრამ რა ძალა გვქონდა, რომ რაიმე ზომა მიგვეღო.

იმ ღამეს ყველა ურიების საუკეთესო მაღაზიები გაეტეხათ ხულიგანებს და გაეძარცვათ. ზოგიერთი მაღაზიები გათენებისას გატეხეს. არც იმ

---

*) ეს სიტყვები იმ დროის დღიურიდანა მაქვს ამოწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს და არც მეორე დღეს არსად არა სჩანდა არც ერთი პოლიციელი. კაზაკები ხანდახან ჰაერში თოფს ისროდნენ, რითაც მხოლოდ ხალხს აშინებდნენ და არა ხულიგანებს. მეორე დღეს გაძარცულ მაღაზიების წინ კაზაკები აღარავის აღარ აყენებდნენ, რომ არავის მოეპარა ალბად ის, რაც მაღაზიაში აღარ იყო!

ბევრი ურია დახოცილი, ბევრი ოჯახია აწიოკებული. ძარცვა-გლეჯა მთელი მეორე დღე გაგრძელდა. რისი გატანაც ღამე ვერ მოასწრეს მაღაზიებიდან, ის დღე გაჰქონდათ. ქუჩებში, საცა უნდა გაგევლოთ, შეხვდებოდით ხულიგანებს, რომლებსაც ზოგს ახალი ტანისამოსები მიჰქონდა, ზოგს ქოლგები და საცვლები, ზოგს რა და ზოგს რა. აქა-იქ კაზაკებიც დადიოდნენ, და თუმცა ყოველივეს ხედავდნენ, მაგრამ ხმასაც არავის სცემდნენ. კაზაკების გვერდით ნაპარევით დატვირთული ხულიგანები ისე არხეინად მიდიოდნენ, ვითომც აქ არაფერიაო. [illegible] მხარეზედაც ბევრია დაჭრილი და დახოცილი.

მე ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი მას, რაც ჩემის თვალითა ვნახე. მე ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე აიკლებდნენ რუსეთის ერთ საუკეთესო ქალაქს კაზაკები, პოლიცია და ხულიგანები. რაც უნდა იყოს, ხულიგანები მეტად ღვთის მოყვარე და ხელმწიფის მაღმერთებელი ყოფილან: ძარცვა-გლეჯის დროსაც კი ხატები და მეფე-დედოფლის სურათი მიაქვთ წინ: ხატებო, გვიშველე და, ხელმწიფევ—დაგვიფარეო! და მართლაც, ხატებისა არ ვიცი და, ხელმწიფის სურათი კი იფარავდა! კაზაკები და პოლიცია რომ არ ყოფილიყო,—ოდესის ასეთი დარბევა ხულიგანებისაგან ყოვლად წარმოუდგენელია. ხულიგანი ვინ არის? ის მათხოვარია, რომელიც მოწყალებითა ცხოვრობს. ორ კაპეიკს რომ იშოვნის სადმე, მაშინათვე დუქანში გარბის არყის დასალევად. მას გამბედაობა სად გააჩნია! ხოლო, როდესაც მას წინ პოლიცია მიუძღვის და გვერდით კაზაკები მისდევენ, მაშინ ის გულადია, მხეცია!

ივ. გომართელი

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 1 ნოემბერი. შემოღებულ იქმნა სამხედრო წესები. ქალაქი ძალზე შეძრწუნებულია. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტფილისსა და სხვა ქალაქებში დახოცილთა უმანკო მსხვერპლებს და ზიზღით მოიხსენია მათი ამომწყვეტნი. დაადგინეს: დეპეშით სთხოვონ ნამესტნიკსა და ვიტტეს ახსნილ იქმნას სამხედრო წესები, გურიაში ჯარები არ გაიგზავნოს, საბჭოში კრებები აღარ გამართონ, ვიდრე სამხედრო წესები ახსნილ არ იქმნება. ამორჩეულ იქმნა დეპუტაცია, რომელმაც გენერალ-გუბერნატორს ჯარების დროებით შეჩერება უნდა სთხოვოს.

ახალი ამბავი

გუშინ, საღამოს სუთ საათზე, **ქუთაისიდან ტფილისს ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, სტაროსელსკი იყო გურიაში (28 ოქტ.—30 ოქტ.) და ინახულა ხალხისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი; მას არა ხლებია მთავრობის მცველნი. გურიიდან დაბრუნებული ამოვიდა სამტრედიაში 30 ოქტომბერს; იქ, მიუხედავად გაფიცვისა, ადგილობრივმა მუშათა ორგანიზაციამ მისცა სამგზავროდ მატარებელი და ამ საგანგებო მატარებლით გამოისტუმრეს ტფილისში. სტაროსელსკის აზრით, გურიის დასამშვიდებლად არ არის საჭირო არავითარი რეპრესიულის ძალის ხმარება. იმის აზრით, იქნება არც ,,დამამშვიდებელ'' დეპუტაციის გაგზავნა დარჩეს საჭირო, რადგან არაფერი საარაკო გურიაში არა მომხდარა-რა. დაწვრილებით გურიის ამბავი ხვალ გვექნება დაბეჭდილი.

◆ დღეს, 2 ნოემბერს, საგანგებო მატარებლით **გურიაში გაემგზავრებიან ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა და ის კომისია,** რომელმაც გურიაში მშვიდობიანობა უნდა ჩამოაგდოს.

◆ **გურიის ამბები.** 15 ოქტომბერს, ასე ღამის სამ საათზე, ლანჩხუთიდან მიდიოდა ფეხით საჯავახოს სადგურის დასაცველად თენგინის პოლკის ჯარი. ნიგოითსა და საჯავახოს შუა ჯარი წააწყდა დიდ ბრბოს, ასე ორასამდე კაცს, რომელიც არღვევდა რკინის გზის ლიანდაგს. ჯარი და ხალხი ერთმანეთს შეეხმაურა, ასტყდა სროლა. ჯარის მხრივ არავინ დაჭრილა. ბრბო გაიქცა ტყეში და დასტოვა რვა მოკლული და [illegible] ჯარმა შეიპყრო. ორმოცდაათ საჟენის მეტი სატელეგრაფო ბოძი [illegible]. თერთლები დამტვრეული და ცხრა-საჟენიანი ხიდი დაშლილი. ჯარი ჩავიდა საჯავახოს სადგურში და პატიმარიც თან წაიყვანა.

◆ ბევრის წვალების შემდეგ, 30 ოქტომბერს, პირველ ნაწილის ინჟინერმა კალატოზოვმა ბათუმიდან **სამტრედიამდე** მიიყვანა სახალხო მატარებელი მგზავრებით. თუ ამ დღეებში კიდევ არსად წაახდინეს ტელეგრაფი, შეკეთებას და დადგმას ხუთ დღეს კიდევ მოუნდებიან. სანამ ტელეგრაფი არ შეკეთდება, რკინის გზის მიმოსვლა შეუძლებელია.

◆ ბათუმის ქალაქის მოურავის თავ. ანდრონიკაშვილისაგან ტფილისის ქალაქის მოურავმა **შემდეგი დეპეშა მიიღო:** „ხმებმა გურიის აჯანყებისა და მათ მიმართ რეპრესიულ ზომების მიღების შესახებ აღელვა ქალაქის ყველა მცხოვრები. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე, რომ გურიის დასაწყნარებლად ხალხის წარმომადგენელნი გაგზავნოს. უკანასკნელ ცნობებიდანა სჩანს, რომ ხმები გადაჭარბებულია. ქუთაისის გუბერნატორის დეპეშა მოწმობს, რომ მას რეპრესიულ ზომებისთვის არ მიუმართავს. ნამესტნიკის კანცელარიის დეპეშიდანა სჩანს, რომ გურულთ ბრალსა სდებენ იმაში, რომ ისინი ყაჩაღებსა და გამოქცეულ ჯარისკაცთ მალავენ, კენჭის ამოსაღებად არ მიდიან და სახელმწიფო გადასახადებს არ იხდიან. საბჭოს საგანგებო კრება ჰქონდა და მიიღო რა მხედველობაში, რომ გურიაში ისეთივე მოძრაობაა, როგორც რუსეთის სხვა კუთხეებში, დაადგინა, არ ისარგებლოს ნამესტნიკის ნებართვით და ხალხის დამშვიდება არ იკისროს. მაცნობეთ, მართალია თუ არა, რომ საქალაქო მილიცია დაარსდა“.

◆ გუშინ **ნაძალადევში შეიკრიბნენ ტფილისის სასწავლებლების მასწავლებლები,** მოწაფენი და მათი მშობლები. მიტინგს 4,000 კაცი დაესწრო. აგრეთვე დაესწრო ადმინისტრაციის წარმომადგენელიც. კრება დაიწყო $11^{1}/_{2}$ საათზე და თავმჯდომარემ სთქვა: დღეს უნდა გადაწყდეს, განვაგრძოთ გაფიცვა, თუ სწავლას შევუდგეთ, და მოვითხოვოთ: 1) დაარსდეს დამფუძნებელი კრება პირდაპირის, საყოველთაო, თანასწორის და საიდუმლო კენჭის ყრით. 2) გაუქმებულ იქმნას რეპრესსია, ჯარი, ეგზეკუცია, ჯამუშები და სხვა, რაც სდევნის ხალხის მოძრაობას, და 3) დათხოვნილ იქმნენ საპედაგოგიო წრიდან ყველა ის პირნი, რომლებიც იყვნენ და დღემდის არიან განთავისუფლების წინააღმდეგნი. კრებამ დაადგინა, ჯერ-ჯერობით სწავლას არ შეუდგნენ და თავმჯდომარის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი ერთ-ხმად მიიღო.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ა. სკოპინსკი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „22 ოქტომბერს ტფილისში მომხდარ სისხლის ღვრის ამბის ყოველმხრივ გამოსარკვევად, უმორჩილესად ვსთხოვ იმ პირთ, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმის შესახებ რაიმე ცნობები მოგვცეს, მობრძანდნენ განცხადებით სამოსამართლო პალატის პროკურორის კამერაში. ამგვარი განცხადებები მიიღება ყოველ დღე (კვირა-უქმის გარდა), შუადღის 1 საათიდან 3 საათამდე.

◆ პირველ გიმნაზიის **პედაგოგებმა გადასწყვიტეს, შეადგინონ კომისია საზოგადოების** წარმომადგენლებისაგან 22 ოქტომბერს გიმნაზიის შენობაში მომხდარ საშინელ ამბის გამოსარკვევად და დამნაშავენი პასუხის გებაში მისცენ, იურიდიულად თუ არა, ზნეობრივად მაინც.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ **პრიკაზში დაგირავებული თავად-აზნაურთა მამულები** არ გაიყიდოს ამ [illegible] დანიშნულ ტორგებში.

რედიიდან [illegible] ტარებელი დილამდის [illegible] მოსულიყო სამტდგანაც არა საიმედო ხმები ისმოდა [illegible] ჰებაზე. ტფილისიდან სამი სამხედრო მატარებელი გავიდა, მაგრამ ძირულას იქით ვერ გასცდნენ. როგორც გაიგეთ, [illegible] ემუქრებიან შორაპნის სადგურის მოხელეებს, თუ გზა მაგიციათ სამხედრო მატარებლისთვის, ამოგწყვეტთო. როგორც გავიგეთ, ვითომ ყვირილის სადგურის მოხელეთ უარი უთქვამთ სამსახურის ასრულებაზე.

◆ ტფ. საბჭოს ხმოსნად ნამყოფმა ბ-ნმა დ. ნ. **ზუბალაშვილმა** ქალაქის გამგეობას **შემდეგი განცხადება წარუდგინა:** უკანონოდ მიმაჩნია საბჭოს სხდომის განახლება; იმ დღიდან, რა დღესაც ხმოსნები სამსახურიდან გადადგნენ, ნება აღარ აქვთ უკანვე დაბრუნდნენ, რადგან ეს უკანონობაა. მაშინ, როდესაც ქალაქი გაჭირვებული იყო, ხმოსნებმა იგი უპატრონოდ დასტოვეს და ეხლა, როცა ხალხმა სისხლი დაღვარა, თავისუფლება მოიპოვა, ხმოსნებმა, ვითომ აქ არაფერიაო, გამოჰყვეს თავები და გაიძახიან, საქმეს უნდა შევუდგეთო. ბ-ნი ზუბალაშვილი ითხოვს, ხმოსნებმა თვითნებობით არ მიიკუთვნონ უფლება ხალხის წარმომადგენლობისა და უსათუოდ დაინიშნოს ახალი არჩევნები. ამასთან გამოქვეყნებულ უნდა იქმნეს სია უკან დაბრუნებულ ხმოსნებისა, რომ ხალხმა იცოდეს მათი ვინაობა.

◆ გაზეთი „კასპი“ გადმოგვცემს, რომ **კასპიის ფლოტის მეზღვაურთ იარაღი აჰყარეს** და მთელი იარაღი, დროშა და ფულის ყუთი შესანახად სალიანის პოლკს ჩააბარეს. ამგვარი ზომები გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: 20 ოქტომბერს ბიბი-ეიბათიდან მოდიოდა „პატრიოტული“ მანიფესტაცია ეროვნულ ბაირაღებითა და ხელმწიფის სურათით. გზაში შეხვდათ დემონსტრანტები წითელ ბაირაღებით. გაიმართა მათ შორის ჩხუბი. ამ დროს კაზარმებიდან გამოვარდა 11 მატროსი თოფებით და წითელ ბაირაღებიანს მიეშველა. მალე წესიერება აადგინეს, ეს 11 მატროსი დააპატიმრეს და, როგორც ამბობენ, სამხედრო სასამართლოს გადასცეს. დანარჩენ მატროსებს ადგილობრივი ჯარი გარს-არტყია და თვალ-ყურს ადევნებს.

◆ „ვოზროჟ.“ სიტყვით, 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრის დროს დაჭრილ გიმნაზიელთა მომეტებული ნაწილი ვეღარ რჩება. გუშინ-წინ გარდაიცვალა გიმნაზიელი ბუდნიკი, რომელიც ფეხში იყო დაჭრილი. რითი ავხსნათ ეს გარემოება, ექიმების დაუდევრობით, თუ სხვა საზარელ ექვითაო,—დასძენს გაზეთი.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალ კრებაზე აღიძრება საკითხი იმის შესახებ, რომ **საბჭოს ხმოსანთა არჩევნები საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით მოხდეს.**

◆ 31 ნოემბრის საბჭოს კრებაზე ერთმა ხმოსანმა განაცხადა: 29 აგვისტოს და 22 ოქტომბრის ხოცვა-ჟლეტის დროს **იმ მკვდრებს, რომელთაც თითებზე ძვირფასი ნივთები ჰქონდათ, თითებს სჭრიდნენო.**

◆ გუშინ მთელ ქალაქში ელექტრონის ვაგონების მოძრაობა 30 წუთით შესწყდა.

◆ საპარქო სასწავლებლის ინსპექტორი მღვდ. გოროდცევი **გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან** და მის ალაგას დროებით დაინიშნა ამ სასწავლებლის საბჭოს წევრი მღ. გ. გამრეკელოვი.

◆ ამ დღეებში ტფილისის **ტეხნიკური საზოგადოება** გადავა ახლად აგებულ პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის შენობის მესამე სართულში.

◆ „პურ-ღვინოს“ სასტუმროში მცხოვრებ **ალექსანდრე მაღნარაძეს** 22 ოქტომბრის სისხლის ღვრისა და დარბევის დროს 600 **მანათის ზარალი მოსვლია.**

XXIII [illegible]
ნომერი მოზრდილთათვის, [illegible]ყმაწვილო ჟურნალის
რომ ამა წლის პირველ ნოემბრიდან იწყება[illegible]
ახალი წლისთვის ხელის მოწერა

◆ რადგანაც ბათუმისა და ფოთის მხარეს გზებს განზრახ აფუჭებენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის განკარგულებით, **სახალხო მატარებლების მიმოსვლა 30 ოქტომბრიდან კვლავ შესწყდა.**

◆ ,,ტფ. ლისტ.'' ერევნიდან დეპეშით ატყობინებენ: 30 ოქტომბერს, საღამოს დრაგუნის აფიცრის პოსოჟნოის **მოკვლა განიზრახეს** და ინგლისის ბაღში ორი ყუმბარა ესროლეს. ოფიცერი მსუბუქად დაიჭრა. ყუმბარის მსროლელნი მიიმალნენ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა **განმარტა ცირკულიარით,** რომ დღიურ მომუშავეთ გაფიცულ დროში ჯამაგირები არ მიეცემათო.

◆ პეტერბურგში 18 ოქტომბრის დემონსტრაციის დროს **სტუდენტის ალ. ი. ბიბილაურის მოკვლის შესახებ** „სინ ოტეჩ.“-ში დაწვრილებითი ცნობებია მოყვანილი. ამ სამი კვირის წინად ბიბილაური იურიევიდან პეტერბურგს წასულა, რადგან პეტერბურგის უნივერსიტეტში გადასვლა განუზრახავს. 18 ოქტომბერს ბიბილაური დემონსტრანტებთან ერთად მიდიოდა თურმე გოროხოვის ქუჩაზე. აქ ბიბილაურს სიტყვით მიუმართავს ხალხისათვის. ამ დროს გავარდნილა რამდენიმე თოფი ერთად და ორი ტყვიით განგმირული ძირს მკვდარი ჩამოვარდნილა.

◆ სასტუმრო „პურ-ღვინოს“ და „მუხრანის ნომრების“ მოიჯარადრეებს გამოუცხადეს, რომ **შენობიდან ჯარს ამ ორ დღეში გავიყვანთო.** ზარალის ადგენის შესახებ არავითარ პასუხს აძლევენ. ჯარს ტფილისის საკრებულოდანაც გაიყვანენ.

◆ ახალ-სენაკი. 29 ოქტომბერს, ღამით მე 41 ვერსზე, ვიღაცეებს ხიდზე ხუთი რელსი აუხსნიათ. გზა უკვე შეაკეთეს.

ქუთაისის ამბები

როგორც ქალაქის გამგეობის მოხსენებიდანა სჩანს, მომავალ წელში ქალაქი მიიღებს სატრაქტირო გადასახადისაგან 6180 მანეთს. ამ რაოდენობიდან 90%, ე. ი. 5562 მან. უწევს ისეთ ტრაქტირებს, სადაც ღვინო იყიდება; 10%, ე. ი. 618 მანეთი კი ისეთებს, სადაც ღვინო არ იყიდება. ამჟამად ქუთაისში სულ 206 ტრაქტირი ყოფილა, რომელთაგან მხოლოდ ორია ისეთი, სადაც ღვინო და სხვა მაგარი სასმელები არ იყიდება; 110 ტრაქტირი ისეთია, რომელიც მხოლოდ ღვინით ვაჭრობს; დანარჩენებში სასმელებთან ერთად ღვინო და სხვა მაგარი სასმელებიც იყიდება. აქედან სჩანს, თუ რამდენი თაყვანისმცემელი ჰყოლია ქუთაისში ღვინის ღმერთს—ბახუსს.

◆ 12 ოქტომბერს, საღამოს $5^{1}/_{2}$ საათზე, ფერმის ქუჩაზე, წითელ ხიდის მახლობლად, სამის ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრეს ადგილობრივი თერძი ლარამე. როგორც შორიდან დაუნახავთ, ლარამეს სამი ყმაწვილი დასხმია თავს, ხუთჯერ დაუხლიათ რევოლვერი და მაშინვე გაქცეულან. სასიკვდილოდ დაჭრილი ლარამე სავადმყოფოში წაიყვანეს, მკვლელობის განზრახვის მიზეზს სხვადასხვა-გვარად ხსნიან: ზოგი პირად ინტერესებს ასახელებს მიზეზად, ზოგი კი იმას ამბობს, საზოგადოებისათვის იყო მავნე პირი და მისთვის განიზრახეს მისი მოკვლა.

◆ ქალაქის საზოგადო წიგნთსაცავისათვის ქალაქის გამგეობამ 400 ახალი რუსული წიგნი გამოიწერა. წიგნები უმეტესად თანამედროვე მწვავე კითხვებს შეეხება. ამ დღეებში წიგნსაცავისათვის ახალ ქართულ წიგნებსაც გამოიწერენ.

◆ ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის თვითმართვე[illegible] 14 ოქტომბერს [illegible] საქალაქო დაწყებით სკო[illegible] კომისიის თავმჯდომარედ მ. ა. [illegible] ლად გ. ი. ჭილაძე, მდივნად—დ. ნ. ავალიანი, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა წარმომადგენლად—გ. ს. თუთბერიძე და საქალაქო დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა წარმომადგენლად—ვ. ი. პეტრიაშვილი. კომისიას კვირაობით ექნება სხდომა ქალაქის საბჭოს დარბაზში.

◆ 20 ოქტომბერს გურიიდან მეტად სამწუხარო ამბები მოუვიდა ბ-ნს გუბერნატორს. ამ ამბებიდან კაცს ეგონებოდა, გურიაში ნამდვილი ომია გამართულიო. ხალხის დასამშვიდებლად გადაწყვიტეს გურიაში ჯარის გაგზავნა. 21 ოქტომბერს ეს დადგენილება სისრულეში მოიყვანეს: მთელი მატარებელი აავსეს ქუთაისში დაბანაკებულ ბესარაბიის პოლკის სალდათებით და რკინის გზით გაისტუმრეს. ნაშუადღევის მესამე საათზე, როდესაც მატარებელი რკინის გზის რიონის შტოს მეხუთე [illegible] მოუახლოვდა, უბედად რელსები გაიშალა და მატ[illegible] საშინელის ხმაურობით ლიანდაგიდან გადავარდა. დამსხვრა მატარებლის რამდენიმე ვაგონი. ჯარის კაცთაგან შვიდი კაცი მაშინვე მოკვდა, ორი მძიმედ დაჭრილი შემდეგ გარდაიცვალა და 27 სალდათი ზოგი მძიმედა დაჭრილი და ზოგი მსუბუქად. როდესაც მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა, თავზარდაცემულ ჯარს მოსჩვენებია, შეიარაღებული ხალხი დაგვესხა თავს და თოფები დაგვიშინაო და მასაც თოფებითვე გაეცა პასუხი: დაუწყიათ განურჩევლად სროლა მარჯვნივ და მარცხნივ და, ვისაც კი თვალს მოჰკრავდნენ, ან იქვე ჰკლავდნენ, ან ცოცხლად იჭერდნენ. როგორც გავიგეთ, სროლის დროს მოუკლავთ ოთხი სრულიად უდანაშაულო სოფლელი გლეხი (ამათგან ორი სოფელ მესხეთიდან ყოფილა, რომელნიც თურმე გზას აკეთებდნენ); ამასთანავე შეუპყრიათ 8 მგზავრი, რომელთაც თოფების სროლის შეშინებიათ თხრილებში ჩაწოლილან, რომ ტყვია ასცდენოდათ, და ზოგიც გაქცეულა თავის საშველად. მალე იმ ადგილას, სადაც მატარებელი გადავარდა, მივიდნენ ბ-ნი გუბერნატორი და ოლქის სასამართლოს პროკურორი. როგორც აღმოჩნდა, რელსებს ვინტები სულ დამძვრალი ჰქონია და დაუმაგრებლად ყოფილა დადებული ლიანდაგზე, ამტკიცებენ, ვითომც ეს განგებ უნდა ექმნათ ბოროტგანზრახველთ, რომელთაც სურდათ გურიაში ჯარის გაგზავნისათვის ხელი შეეშალათ. რაც შეეხება იმას, ვითომც ჯარს შეიარაღებული ხალხი თავს დასხმოდეს და თოფების სროლა აეტეხოს, ეს ტყუილი გამოდგა. ამას ამტკიცებს ის გარემოე-

ფელეტონი

სამრეწველო სასამართლო

იქ, სადაც მუშა და პატრონი ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესებით უპირდაპირდება ერთმანეთს, სადაც პატრონის სარგებლობა მოითხოვს, რაც შეიძლება სავსებით გამოიყენოს მუშის შრომა და მუშა კი ცდილობს ეს შრომა გაიადვილოს და ქირად, რაც შეიძლება, მეტი მიიღოს, არ შეიძლება ორივეს ერთმანეთში ხშირად არ მოუვიდეს უთანხმოება, და გაწვავების თავიდან ასაცილებლად საჭირო არ იყოს ისეთი დაწესებულება, რომელიც მუშა-პატრონის დამოკიდებულებას განაგებდეს და არკვევდეს ყოველივე მათს შინაურ უთანხმოებას...

ჩვეულებრივი სასამართლო საამისოდ არ ვარგა. ამ სასამართლოებში საქმის წარმოება ძვირია, ორივე მოწინააღმდეგესაგან ბევრს დროს მოითხოვს, მოწმეების წამოყენებას, საბუთების წარდგენას და საქმის მთელი წარმოება საზოგადოდ ფორმალიზმზე აგებულია. სად შეუძლიან მაგ. მუშას, რომელსაც პატრონმა ორიოდე აბაზი ქირა დააკლო, იაროს სასამართლოში, საქმეს სდიოს და ყველა იმ ხრიკს გაუძლოს, რომელიც საქმეს აჭიანურებს და შეუძლებლად ხდის მის დაბოლოებას... ან ხშირად მთავრობისაგან დაყენებული ან კაპიტალისტთა წრის წარმომადგენელი მსაჯული გასა პატრონისაკენ არ გადახრის სამართლის სასწორს და სულ უმწეოდ არ დასტოვებს დაჩაგრულ მუშას იქ, სადაც იგი სამართალს ეძებს და სადაც მას ადგილობრივი მუშათა ორგანიზაციები არ მფარველობენ? არსებულ სასამართლოების გადაწყვეტილება ამნაირ საქმეებში ხშირად და ძალა-უნებურად ცალმხრივი იქმნება და ამითი ზედმეტ გამწვავების შემქნელი...

მეორეს მხრივ, ამნაირ სასამართლოების მაგიერობას ვერ გასწევენ თვით მუშების ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების იარაღია—გაფიცვა. იქ, სადაც ცხოვრება მშვიდობიან განვითარების კალაპოტში დგას, საამისო ჩვეულებრივ იარაღად ვერ გამოდგება იმიტომ, რომ გაფიცვას ყოველთვის რამე საზოგადო, საერთო მოთხოვნილება უდევს სარჩულად და მეორე, იმიტომაც, რომ გაფიცვა ყოველ წვრილმან უთანხმოებას ვერ ამოჰყვება. ასე ყოველ დღე გაფიცვების მოხდენას ცხოვრებაში არევ-დარევა შემოაქვს, რომელიც საზღვარ-გარეთელ მუშებს და მათ მეთაურებს მიაჩნიათ არა სასურველად და საზარალოდ. ამას გარდა, ეს გაფიცვებიც ხომ ცალმხრივი იარაღია, იგია ბრძოლის იარაღი და არა მშვიდობიან ცხოვრების საშუალება, და ამიტომ იქ, სადაც ორივე მოწინააღმდეგე მხარეს უნდა მშვიდობიანი ცხოვრება, გაფიცვა, როგორც წვრილმან, ყოველდღიურ უთანხმოების გადამწყვეტი, არ გამოდგება, საამისოდ რამე განსაკუთრებული დაწესებულება არის საჭირო, განსაკუთრებული სასამართლო...

ამ სასამართლოში ორივე მოწინააღმდეგე მხარეს უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები, რომ მიუდგომელ გადაწყვეტილების იმედი ჰქონდეს ყველას, ვისაც რამე საქმე ექნება ამ სასამართლოში.

ამნაირი სასამართლოები აქა-იქ არსებობს,—ეს არის „სამრეწველო სასამართლოები“, რომელიც უკვე შემოღებულია დასავლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში. ამ სასამართლოებს პირველში იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც ახლა, როდესაც მსხვილი მრეწველი გაიზარდა და როდესაც მუშების და მრეწველების დამოკიდებულება გამწვავდა...

ბელგიაში, მაგ., ამ სასამართლოების ორგანიზაცია ასეთი არის:

სასამართლოს ორი სხვადასხვა დაწესებულება შეადგენს: ერთია შემარიგებელი კომიტეტი და მეორე—ნამდვილი სასამართლო. ყოველი საქმე ჯერ ამ შემარიგებელ კომიტეტში გადადის. თვით ამ კომიტეტის სახელი ამტკიცებს, რომ მას მოწინააღმდეგეთა შერიგება, საქმის მორიგებით გათავება აქვს მიზნად. სტატისტიკური ცნობები გვიმტკიცებენ, რომ ყველა დაწყებულ საქმის 90% მორიგებით თავდება.

სადაც მორიგება შეუძლებელი ხდება, საქმე სასამართლოში გადადის. სასამართლოს წევრები ნახევრად თვით მუშებისაგან არჩეულია, ნახევრად—მრეწველებისაგან. თავმჯდომარეს მთავრობა ნიშნავს. წევრი თორმეტია, მათ ექვსი კანდიდატი ჰყავთ. წევრებს მუშები და მრეწველები ირჩევენ ორი წლის ვადით,—ყოველ წელიწადში ექვს წევრს. საქმე წყდება ხმის უმეტესობით, სწორი თუ არის ხმები,—თავმჯდომარეს ხმას მეტი მნიშვნელობა აქვს. საქმე მალე და ადვილად ირჩევა. მოსაჩივრეს და მოპასუხეს შეუძლიანთ ითხოვონ, რომ მათი საქმე სასამართლოს ერთ სხდომაზე გაირჩეს და კიდეც გადაწყდეს.

საქმე სამრეწველო სასამართლოში რომ შედის, ორივე მხარეს ხდება ხარჯი,—თითოს ოთხ აბაზ ნახევრამდის,—საქმე რომ გათავდება, მართალ მხარეს ფულს უბრუნებენ და მტყუანს, სამაგიეროდ, ერთი-ორად ხვდება. თუ ღარიბია მომჩივანი ან მოპასუხე, ამ გადასახადისაგანაც ანთავისუფლებენ. საქმის გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავს ადმინისტრაციას ისე, როგორც ჩვეულებრივ სასამართლოს გადაწყვეტილება. მსაჯულებად შეიძლება არჩეულ იქმნეს ადამიანი, რომელიც 30 წლისა მაინც არის,—ამ ბოლო ხანებში ვექილებსაც უფლება მისცეს. ამ სასამართლოებში საწარმოოდ მიიღონ საქმე.

ბელგიაში ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში ეს სასამართლოები არჩევდნენ ყოველწლიურად ექვს ან შვიდი ათას საქმეს მაინც. შეიძლება ეს რიცხვი ზოგიერთს მცირედი ეგონოს, მაგრამ მის ნამდვილ მნიშვნელობას გავიგებთ მაშინ, როდესაც გავიხსენებთ, რომ ბელგია რუსეთის ზოგიერთ გუბერნიაზე ნაკლები არის სივრცით და მცხოვრებთა რიცხვითაც.

მსაჯულების არჩევაში მონაწილეობას იღებენ ყველა ის მრეწველი ან მუშა, რომელიც 25 წლისა მაინც არის, რომელსაც საპოლიტიკო საარჩევნო უფლება აქვს მინიჭებული,—და ამას გარდა, აუცილებელ პირობად მიღებულია, რომ მუშა მუდმივი მუშა იყოს, მრეწველი მუდმივი მრეწველი. ისინი, ვინც სხვათა შორის ან შემთხვევით იღებენ მონაწილეობას მრეწველობაში, არჩევნებში მიღების უფლებას მოკლებული არიან.

ბელგიაში ხალხმა შეიგნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სამრეწველო სასამართლოებს თვით მუშებისათვის, და ამიტომ იქ ამ სასამართლოების რიცხვი თანდათან მატულობს და ხალხიც თანდათან მეტის ყურადღებით ექცევა მსაჯულთა არჩევის საქმეს. არჩევნების დროს ისეთივე აგიტაცია იმართება ხალხში, როგორც საზოგადო საპოლიტიკო არჩევნების დროს, და თუ ეს აგიტაცია ისეთივე თვალსაჩინო და ყველასათვის ცხადი არ არის, როგორც საპარლამენტო არჩევნები, ამის მიზეზი ჯერ ის არის, რომ ეს სასამართლოები ყველგან არ არის,—მხოლოდ უფრო სამრეწველო ადგილებშია, და მეორეც ის, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მუდმივი მუშები და მუდმივი მრეწველები, ესე იგი ხალხის მხოლოდ მცირედი ნაწილი...

აგიტაციის მიზანი ის არის, რომ მუშების მხრივ მსაჯულებად არჩეულ იქმნენ შეგნებული პირები, მუშათა იდეალების მცოდნე, ამ იდეალების განხორციელებისათვის მებრძოლი. ის მუშა, რომელიც საზოგადოდ განზე დგას და ამხანაგებს საერთო მიზნების მისაღწევად არ ურთდება, რომელიც თავის ინტერესების დასაცველად ბრძოლას გაურბის, მსაჯულთა არჩევნების დროს ძალა-უნებურად დაემორჩილება მრეწველების გავლენას და მრეწველთათვის სასურველს, მათ მხარის დამჭერ პირს აარჩევს მსაჯულად.

სამრეწველო სასამართლოების აწინდელი ორგანიზაცია ახლაც ყველას ვერ აკმაყოფილებს. ამბობენ, მაგ., რომ ამ დაწესებულებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ყველა მშრომელი, სულ ერთია, დროებით ადგია იგი რამე შრომას თუ მუდმივად თავის მუშაობით ცხოვრობს; ამბობენ, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმ სრულწლოვანებსაც უნდა ჰქონდეთ მინიჭებული, ვინც 25 წლისა არ არის, რომ ის მცირედი გადასახადიც, რომელიც ახლა საქმის წარმოებაში ხდება ორივე მხარეს, მოისპოს და საქმის წარმოება უსასყიდლო შეიქმნეს, რომ უსასყიდლო იყოს მომჩივანე და მოპასუხესათვის და მომხრეებისთვის რკინის გზით სიარული სასამართლოში დასასწრებლად, რომ ისჯებოდეს ყველა ის პირი, რომელიც ეცდება მოსყიდვით ან ძალდატანებით რამე გავლენა იქონიოს მსაჯულთა არჩევის საქმეში, რომ ახალი საპელაციო სასამართლო დაწესდეს, რომ მოისპოს თავმჯდომარის მთავრობისგან დაყენება და რომ სამრეწველო სასამართლოს საზოგადოდ მეტი ძალა და მნიშვნელობა მიეცეს.

სამრეწველო სასამართლო ჩვეულებრივ სასამართლოს მაგიერობას ვერ გასწევს, მას თავისი განსაკუთრებული საქმეები აქვს და ამ საქმეების გადაწყვეტაში იგი უფრო სამართლიანად არკვევს საქმეს, ვიდრე ის მსაჯულები, რომელნიც ყოველდღიურ ცხოვრების მწყვეტელნი არიან, და თეორიულად სჯიან იმაზე, რაც ცხოვრებამ უკვე დიდი ხანია საბოლოოდ გაარკვია და გადაწყვიტა.

სამრეწველო სასამართლოს ხალხში დიადი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს,—ის, რაც წყდება ამ სასამართლოში,—შემდეგ ცხოვრებაში თანდათან ფეხს იკიდებს და ვრცელდება. სამართლიანობის ის პრინციპები, რომელიც მიღებული აქვს მსაჯულებს და რომლის მიხედვით წყდება ყოველი საქმე, ხალხშიაც ვრცელდება და მეორეს მხრივ სასამართლოში შემოდის ის პრინციპები, რომელიც მუშა ხალხს და საზოგადოებას გაურკვევია. მუშათა კლასსის ზრდას და განვითარებას, მასში ახალ იდეალების წამოყენებას მოჰყვება სასამართლოებში მსაჯულების შესაფერი მოქმედება და შესაფერი მსჯავრი, რომელიც ამნაირად ხორცშესხმულად ჰქმნის ამ იდეალებს.

ამიტომ ყველგან სამრეწველო სასამართლოები ხალხის ყურადღებას იქცევს და თანდათან ვრცელდება.

—*

ბა, რომ არც ერთი სალდათი ტყვით არაა დაჭრილი და არც ერთი ტყვია არა აქვს მოხვედრილი მატარებელს. გაბრაზებულ ჯარს ქუთაისში უნდოდა თურმე დაბრუნება, სადაც შესაძლებელი იყო დიდი უბედურება მოეხდინა, მაგრამ ბ-ნს გუბერნატორს და გენერალს, როგორც უთქვამთ, დაუმშვიდებიათ ჯარი და ქვეითად გაუსტუმრებიათ რიონის სადგურისაკენ.

◆ 24 ოქტომბერს ბ-ნს გუბერნატორს დეპეშა მოუვიდა კავკასიის ნამესტნიკისაგან, რომელიც აცნობებდა მას, ქუთაისში დღეიდან სამხედრო წესი იქმნება შემოღებული, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად ინიშნება გენერალი შიმკოვსკი, რომელსაც თქვენ უნდა ექვემდებარებოდეთ, როგორც სამოქალაქო გუბერნატორიო. გარდა ამისა, ოზურგეთის მაზრაში გაიგზავნება ჯარი გენერალ ალიხანოვის უფროსობით. როგორც გავიგეთ, ნამესტნიკის ასეთი განკარგულება გამოუწვევია რკინის გზის რიონის შტოზე 21 ოქტომბერს მომხდარს უბედურებას. ბ-ნს გუბერნატორს დეპეშითვე უცნობებია ნამესტნიკისათვის, თუ ქუთაისში სამხედრო წესი იქმნა შემოღებული, მე გუბერნატორად დარჩენა აღარ შემიძლიაო. რამდენისამე საათის შემდეგ ბ-ნს გუბერნატორს ნამესტნიკისაგან ახალი დეპეშა მოსვლია, რომლითაც ის აცნობებს ბ-ნს გუბერნატორს, ჩვენი დადგენილება ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო წესის შემოღების შესახებ დროებით შეჩერებულ იქმნაო. ამასთანავე ნამესტნიკი უკანასკნელად მოუწოდებს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებს და [illegible] შვიდებას, რომ [illegible]

[illegible] მოხსენეთა კრება.

31 ოქტომბერი.

კრება ორი საათისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ჯერ პირველიც არ შესრულებულიყო, რომ საბჭოს კარებს აუარებელი ხალხი მოაწყდა. სრულ ორ საათზე ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ-ნმა ჩერქეზიშვილმა კრება დაიწყო. ჯერ დაასახელა მიზეზი ხმოსანთა გადადგომისა და ისევ თანამდებობის დაბრუნებისა და შემდეგ წინადადება მისცა დამსწრეთ, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ იმ პირთა ხსოვნისათვის, რომელნიც 29 აგვისტოსა და 22 ოქტომბერს უდიერად იყვნენ ამოხოცილნი.

კრებამ ქალაქის მოურავის წინადადება შეასრულა: ყველანი ფეხზე წამოდგნენ და რამდენჯერმე სთქვეს: „საუკუნო ხსენება უდანაშაულო მსხვერპლთ“.

ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, ხმოსნებმა ჯერ 29 აგვისტოსა და 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის ამბებზე და საზოგადოდ ახლანდელ მდგომარეობაზე ილაპარაკონ და შემდეგ მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგნენო.

სიტყვა ითხოვა ხმოსანმა ვლ. ს. **მიქელაძემ**, რომელმაც პირველად მოიხსენია ორის თვის წინად საბჭოში ამოხოცილი ხალხი, წყევლა და ზიზღი გაუგზავნა ამ ბოროტ-მოქმედების ჩამდენთ და შემდეგ ახლანდელი მდგომარეობა შეადარა წარსულს. „შემრწამსო, სთქვა ორატორმა, — თუ ორი თვის წინად, როდესაც ეს დარბაზი დავტოვეთ, უუფლებო მცხოვრებლები ვიყავით, დღეს კი სრულ უფლებიანი მოქალაქენი ვართ, მთელის რუსეთის საუკეთესო შვილთა წყალობით მივიღეთ უფლება თავისუფლად ფიქრისა, თავისუფლად ლაპარაკისა; ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დღეიდან კანონი მტკიცე და შეურყეველი იქმნება; ამიერად კანონები შექმნილ იქმნებიან თავისუფალ დაწესებულებებში, თავისუფალ ხალხის თავისუფალ წარმომადგენლებისაგან. შეუძლებელია წართმევა იმისი, რაც ადამიანთა სისხლითაა მოპოვებულიო. შემდეგ ორატორმა დამსწრეთ მიულოცა თავისუფლების განთიადი რუსეთის პოლიტიკურ ცაზე.

სიტყვის ხვა ითხოვეს გარეშეებმაც.

ილაპარაკეს ბ.ბ. კ. აბაშიძემ, ხმოსნად ნამყოფმა ი. ბარათაშვილმა, ის. რამიშვილმა და სხვ. ყველანი შეეხნენ ახლანდელ საზოგადო მდგომარეობას და მოიხსენეს სისხლის ღვრის ამბები ტფილისში. ზოგმა საბჭოს ხმოსნებს უმოქმედობისათვის სასტიკად უსაყვედურა.

კრებამ მხოლოდ ერთის რეზოლუციის შემუშავება მოასწრო: საუკუნო ხსენება 29 აგვისტოსა და 22 ოქტომბრის უდანაშაულო მსხვერპლთ და ყველა იმ მებრძოლთ, რომელთაც თავისუფლების მოსაპოვებლად სიცოცხლე შესწირეს. ზიზღი და წყევლა ყველა იმათ, რომელთაც ტფილისში ხალხის უმაგალითო ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს. კრებამ აგრეთვე დაადგინა, გადაჭრით მოითხოვოს, რომ ყველა ისინი, რომელნიც სისხლის ღვრაში მონაწილეობას იღებდნენ, სამართალში იქმნენ მიცემულნი.

როგორც მკითხველთ ვაუწყეთ, კრებამ 10,000 მანათი გადასდო ტფილისში დახოცილთა ოჯახობის სასარგებლოდ.

ხუთ საათზე კრება დაიხურა და 1 ნოემბრისთვის გადაიდო.

რუსეთი

ებრაელების აკლება. მთელ რუსეთში ებრაელების აკლება—კონტრ-რევოლუცია წინდაწინვე იყო მოწყობილი, მთავრობას პოლიცია უწყობდა, ებრაელების სადგომებსა და სახლებს უჩვენებდა, ჯარი მფარველობდა და ბევრგან თითონაც ხელს ითბობდა, ხოლო ადმინისტრაცია იდგა და სეირს უყურებდა. იშვიათად, თუ სადმე ადმინისტრაციის შესაფერი ზომები მიუღია და ხოცვა-ჟლეტა შეუჩერებია.

ყველაზე საშინელი ამბები ოდესაში მოხდა. დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი 5000-ზე მეტია. დახოცილთა და დაჭრილთა შორის აუარებელი ბავშვია. „პატრიოტები“ არავის ინდობდნენ. ბავშვებს ნაკუწ-ნაკუწად სჭრიდნენ, დიდებს ლომებით და სხვა იარაღით ხოცავდნენ, მეხუთე სართულებიდან ჰყრიდნენ და ნადავლი ურმებითა და დროგებით მიჰქონდათ. თუ რომელიმე სახლიდან თავის დაცვის დროს რევოლვერი გავარდებოდა, ჯარი და კაზაკები ამ სახლს ანგრევდნენ. ბევრგან სახურავების ქვეშ 40 და 50 ყელგამოჭრილი და ტყვიით განგმირული ებრაელი აღმოჩნდა ვინც გადარჩა—ქუჩაში, დარჩა აუარებელი ხალხი დაიმშა. მოკლულ იქმნა ოცდაათამდე სტუდენტი, მათ შორის არიან ქართველები და სომხებიც, რომელნიც ებრაელებს წაესარჩლნენ.

სარატოვში „პატრიოტებმა“ ებრაელების სინაგოგა დასწვეს და რაბინი მოჰკლეს. აიკლეს და დახოცეს აუარებელი ებრაელი და რუსი რადიკალი. ნადავლს იქვე, ბაზარზე ჰყიდდნენ. ორის დღის განმავლობაში მთელი ქალაქი „პატრიოტების“ ხელში იყო. პოლიცია ჯერ არსადა სჩანდა, მერე მოვიდა, მაგრამ ხელიც არ გაუნძრევია. აკლებულია აგრეთვე გაზ. „პრივ. კრაის“ რედაქცია. ეს გაზეთი ჩვენს თანამემამულეს დ. თოფურიძეს ეკუთვნის და მემარცხენე მიმართულებისაა. დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი ასზე მეტია. სარატოვის გუბერნატორმა, განთქმულმა რეაქციონერმა სტოლიპინმა გამოაცხადა, თუ თავის დაცვის დროსაც კი რომელიმე სახლიდან რევოლვერი გავარდა, ეს სახლი ზარბაზნებით იქმნება დანგრეულიო.

ასეთივე ამბები მოხდა იაროსლავში, ნიჟ-ნოვგოროდში, სამარაში, [illegible] დაჭრილთა რიცხვი დიდია; ბევრგან შენობა გადაიწვა.

ოდესასა და როსტოვს არ ჩამორჩნენ კრემენჩუგი, სიმფეროპოლი, ხერსონი, კიშინიოვი და სხ.

პოლიციამ დიდი სიმხნევე გამოიჩინა საზოგადოდ პოლონეთში და კერძოდ ვარშავაში; იქაურობა პროვოკატორებითა და აგენტებით გაავსო, მაგრამ ვერას გახდა. პოლონელები მაშინვე მიხვდნენ პოლიციის ხრიკსა და სასტიკად დასაჯეს პროვოკატორები. მრავალ ადგილას ვარშავაში ხალხმა თავის ხელით გაწყვიტა პოლიციის აგენტები, რომელნიც ებრაელების აკლებას ქადაგობდნენ. პოლონეთის ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა, სოციალისტებმა, პროგრესისტებმა, დემოკრატებმა და სხვებმაც პროკლამაციები გამოუშვეს და ეროვნული შუღლი დაჰგმეს. ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ პოლონეთში ყველა თავისუფალი უნდა იყოს, მიუხედავად რწმენისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისაო. ყველა გაზეთებმა სიამოვნებით აღნიშნეს პოლონეთის პოლიტიკური ზრდილობა, განვითარება და კვეხულობენ, რომ ამ მხრივ პოლონეთმა გაცილებით წინ გაუსწრო რუსეთს, სადაც ჯერ კიდევ პირველ ყოფილი სიმხეცე და ბარბაროსობაა. ხალხმა დაადგინა, თუ პროვოკაცია არ მოისპო, პროვოკატორები დავიჭიროთ, დიდ მოედანზე გავიყვანოთ, ნავთი გადავასხათ და დავწვათ, მეორედ ვეღარავინ გაბედავს პროვოკატორობასო.

ამ მხრივ მთელ პოლონეთში სრული მშვიდობიანობაა.

შეუძლებელია მოკლედ მაინც ჩამოიწეროს სია აკლებულ სოფლებისა და ქალაქებისა და აიწეროს ის სიმხეცე, ველურობა და ბარბაროსობა, რომელიც „პატრიოტებმა“ გამოიჩინეს ებრაელებსა და რევოლუციონერებზე.

◆ არხანგელსკში „პატრიოტებმა“ **მოჰკლეს** ადმინისტრაციის მიერ გადასახლებული პროფესორი გოლდშტეინი.

◆ მოსკოვში, როსტოვში, სარატოვში, პეტერბურგში და სხვაგანაც, სადაც **ებრაელების აკლება** წინდაწინვე იყო მომზადებული, „პატრიოტები“ ეზო-ეზო დადიოდნენ და მეეზოვეებისა და პოლიციელების დახმარებით ებრაელების ადრესების სიას ადგენდნენ.

◆ **უსახლკაროდ დარჩენილნი და დამშეულნი.** 17 ოქტომბრის მანიფესტი მთელ რუსეთში აუარებელ ჯაშუშს მეხივით დაატყდა თავზე. ყველანი უსაქმოდ დარჩნენ და ამბობენ, დავიმშევიანო. მარტო პეტერბურგში 30000 ჯაშუში ყოფილა. პოლიციის დეპარტამენტი დიდი ხნის ნამსახურ ჯაშუშებს პენსიის დანიშვნას უპირობს.

◆ 9 იანვარს დახოცილნი პოლიციამ დიდის საიდუმლოებით დამარხა და მათი საფლავი ისე გაასწორა, რომ ვერავინ იპოვიდა. ასევე მოექცა 19 ოქტომბერს დახოცილთ და ისინიც თურმე 9 იანვრის მსხვერპლთ მიუწვინა გვერდით. 24 ოქტომბერს მუშათა ორგანიზაციამ დახოცილთა ერთი ნაწილი გაასვენა პრეობრაჟენსკის სასაფლაოზე და სასაფლაოს დარაჯს მოსთხოვა, გვაჩვენე, სად დაასაფლავეთ დახოცილებიო. დარაჯი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ მერე აჩვენა. მუშებმა მებრძოლთა საფლავი წითელ გვირგვინებით შეამკეს.

◆ განთქმული გმირი კიშინიოვისა, კრუშევანი და ამხ. მოსკოვში დაწვრილებით გეგმას ადგენდნენ **ებრაელების ასაკლებად**, მაგრამ საზოგადოების მტკიცე მოთხოვნილებით, ადმინისტრაციამ კრუშევანი მოსკოვიდან გაძევა. კრუშევანი ახლა პეტერბურგს ეწვია და „საქმეს“ შეუდგა.

◆ 19 ოქტომბერს სევასტოპოლში სახალხო მიტინგზე სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა საზღვაო ოფიცერმა შმიდტმა, რომელიც მეორე დღესვე **დააპატიმრეს** და მიზეზიც არ უთხრეს. ასე ასრულებენ მანიფესტსა და პიროვნების ხელუხლებლობის პრინციპს ბიუროკრატები.

◆ ნიკოლაევში 19 და 20 ოქტომბერს **ებრაელების ასაკლებად** პოლიციაში ლომებსა და კომბლებს არიგებდნენ.

◆ **ამნისტიაც ასეთი უნდა!** როგორც ვიცით, ამნისტია მხოლოდ ადმინისტრაციის-მიერ დასჯილ პოლიტიკურ „დამნაშავეებს“ შეეხო, ხოლო სისხლის სამართლით დასჯილთ ცოტათი შეუმსუბუქა სასჯელი. ამნისტია შეეხებოდა მხოლოდ იმათ, ვინც „დანაშაული“ 17 ოქტომბრამდის ჩაიდინა. 18 თუ 19 ოქტომბერს მოსკოვში ვიღაც „პატრიოტმა“ დემონსტრაციის დროს მოჰკლა მოსკოვის სოც.-დემოკ. კომიტეტის ბელადი, ექიმი ბაუმანი, რომელიც რუს. სოციალ-დემ. ის მეორე კრებაზე მოსკოვიდან დეპუტატად იყო გაგზავნილი. მკვლელი დაიჭირეს და დაამწყვდიეს, მაგრამ, „პატრიოტების“ ბრძანებით მესამე დღესვე გამოუშვეს... ამნისტიის ძალით.

სასამართლო

განსაჩივრება ბაქოს გუბერნატორის ნაკაშიძის მოკვლის შესახებ.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ხუთ კაცს ქ. ბაქოში ჩამოხრჩობა ბაქოს გუბერნატორის თავ. მ. ა. ნაკაშიძის ყუმბარით მოკვლის გამო. ეს გარდაწყვეტილება განასაჩივრეს მთავარ სამხედრო სასამართლოში ვექილებმა ზარუდნიმ (პეტერბურგელია), ბაიკოვმა და ტერ-მიქელიანცმა (ბაქოელები). გარდა კასსაციისა, ამათვე მიართვეს სასამართლოს დამატება სასამართლოს [illegible] სწორებლად და შესავსებად [illegible] პირველად 19 მარიამობისთვეს [illegible] მოკლედ [illegible] გენერალ-გუბერნატორმა ფადეევმა ნება მისცა [illegible] წარმომადგენლებს დაებეჭდათ ყოველდღიურ გაზეთებში ამ საქმის გარჩევის ანგარიში. მაგრამ 26 სექტემბერს გენერალ-[illegible] სასამართლოს დარბაზში არ შეუშვა არავინ. ასეთი ქცევა უკანონოა.

2) სასამართლოში, მოწამე ალალი მიქაილ-ოღლიმ განაცხადა: თავის დღეში ციხე არ მინახავს და არც სასამართლოს ქვეშ ვყოფილვარ მიცემულიო. მერე კი დამტკიცდა, რომ ხსენებულ ალალის ბრალდებოდა აქციზის მოხელის მოკვლა. ეს გარემოება უთუოდ უნდა ჩაწერილიყო ოქმში.

3) სამხედრო გამომძიებელმა დუბროვსკიმ და ჟანდარმების როტმისტრმა მალჩანოვმა განაცხადეს სასამართლოში, რომ ქერბალაი და ალალი გამოცხადდნენ მოკლულ ნაკაშიძის ძმებთან, რომლებმაც ისინი გაგზავნეს გენერალ-გუბერნატორთან თავ. ამილახვართან და ამ უკანასკნელმა კიდევ სამხედრო გამომძიებელთან დუბროვსკისთან გაგზავნა. ეს გარემოება უნდა შეტანილი იქმნას სასამართლოს ოქმში.

4) დუბროვსკიმ თავის ჩვენებაში სთქვა, ქერბალაიმ და ალალიმ საქმის გამოძიების დროს უჩვენეს, რომ არ იცნობდნენ მეირაბოვს და არუთინოვს. სასამართლოში კი გამოაშკარავდა, რომ ამ პირთ ისინი იცნობდნენ და ორჯელაც უნახავთ. ეს გარემოებაც უნდა ჩაწერილი იყოს სასამართლოს ოქმში.

5) კოვალენკომ განაცხადა, სტრელკოვს პირველად არაფერი უთქვამს იმის შესახებ, გატყდა თუ არა მეირაბოვი იმაში, რომ მან ესროლა ყუმბარა თავ. ნაკაშიძეს.

6) ვექილებმა ითხოვეს ეკითხათ კიდევ დუბროვსკისთვის, მოკლულ ნაკაშიძის ძმებისთვის, სასამართლოს გამომძიებელისთვის ელეფთეროვისთვის, ბრალდებულ ბახრუშევისთვის, მაჩალინკისთვის, სპექტორისთვის და ელცენისთვის, აგრეთვე სამი სალდათისთვის. მაგრამ სასამართლომ თხოვნა არ დააკმაყოფილა, და ეს გარემოება სწორედ უნდა იყოს აღნიშნული სასამართლოს ოქმში.

7) სასამართლოში ვექილმა ზარუდნიმ აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ ადგილის გასინჯვა, საცა თავ. ნაკაშიძე მოჰკლეს, აუცილებელი საჭიროება არის. ამაზე სასამართლოს ერთმა წევრმა, პოლკოვნიკმა მარტინოვმა სთქვა, ეს საჭირო არ არისო, რადგან ეს ადგილი ჩვენ, სასამართლომ დავათვალიერეთ და მოწმებსაც ვკითხეთო. გამოაშკარავდა, რომ სასამართლოს წაუყვანია მხოლოდ ქერბალაი და ალალი და მხოლოდ მათთვის ჩამოურთმევია ჩვენება.

7) ის გარემოება, რომ სასამართლოს წევრები წავიდნენ ადგილობრივ კუშნაროვის თუთუნის მაღაზიაში, საიდანაც ყუმბარა იყო გადაგდებული, და თან წაიყვანეს მოწმები ქერბალაი და ალალი, დაამტკიცა სასამართლოს გარეშე ქრისტეფორე ბაპაევმა.

8) 29 სექტემბერს, ნიკოლოზის ქუჩაზე, სასამართლოს ერთმა წევრთაგანმა მიიხმო მოწამე ქერბალაი და მთელი საათი საქმის გარემოებაზე ელაპარაკება. ამ გარემოების აღწერა სასამართლოს ოქმში ძალიან საჭიროა.

9) უნდა შეტანილ იყოს ოქმში მთლად და შეუცვლელად ჩვენება ქერბალაისა და აგრეთვე ალალისა და მაშინ დამტკიცდება, როგორ აურიეს ამ მოწმებმა თავიანთი ჩვენება, როგორც საქმის გამოძიების დროს, აგრეთვე სასამართლოში.

10. ალალიმ სასამართლოში დაამტკიცა, ყუმბარის გადაგდების დროს მაღაზიასთან ვიდექითო, და როცა ყუმბარა გადავარდა, გავიქეცითო. ვინც იქ იდგა, ყველას მოხვდა ყუმბარა, ქერბალაი და ალალი კი გაიქცნენ. ასეთ ჩვენებას სხვა წევრები სასამართლოსი სხვანაირად დააფასებენ.

ეს დამატება, ამბობს ვექილი ზარუდნი, საჭირო იქმნება მთავარ სამხედრო სასამართლოში, და თუ ამ სასამართლომ საოლქო სასამართლოს გარდაწყვეტილება დაარღვია, მაშინ ყველა ეს საბუთები საჭირო შეიქმნება საქმის ახლად გარჩევის დროს.

ვრცელ საკასსაციო საჩივარში ვექილები ამბობენ: 1. თავმჯდომარემ როშკოვსკიმ სასამართლოს დარბაზში საქმის გარჩევის დროს ხალხი არ შეუშვა და კარებები ჩააკეტინა.

2. მოწამე სტრელკოვს, ადმინისტრაციის ჯაშუშს, რომელიც სასამართლოში საქმის გარჩევის დროს არ გამოცხადდა, ამ წლის 5 სექტემბერს თხოვნა მიუტანა სასამართლოში. ამ თხოვნაში სტრელკოვი ამბობს, სამხედრო გამომძიებელმა დუბროვსკიმ ჩემი ჩვენება სწორედ არ ჩასწერა, ნამეტნავად ბრალდებულ მეირაბოვის შესახებ. ეს თხოვნა საქმეში არ არის და სასამართლომ იგი არ გამოაცხადა. ეს გარემოება მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როცა საქმე გათავებული იყო და კასსაციის ვადა მოვიდა. სტრელკოვი სასამართლოში თითონ გამოცხადებულა, ადმინისტრაცია და სასამართლო კი ამბობს და სასამართლოშიაც სთქვეს ოფიციალურად, რომ იგი არ ვიცით სად არისო, უწყება ვერ ჩავაბარეთო.

3. სასამართლომ გამოარკვია, რომ სტრელკოვის ჩვენება ძალიან საჭიროა საქმისათვის. ბრალდებულმა მოსკოვენკომ გამოაცხადა, რომ მისი ჩვენება გამომძიებელმა დუბროვსკიმ სწორედ არ ჩასწერაო. დამცველმა ვექილებმაც ითხოვეს დაებარებინათ სტრელკოვი და გამომძიებელი დუბროვსკი. ეს თხოვნა სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა.

4. სასამართლოში ბატონი დუბროვსკი მოწამე კი არ იყო, იგი იყო ნამდვილი ბრალდებელი, რასაც თავმჯდომარემ ყურადღება არ მიაქცია და კიდეც წარმოსთქვა თავისი აზრი: „ამ გამომძიებელ დუბროვსკის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვსო“.

5. სასამართლოში მოწმად გამოცხადდა ჟანდარმების უნტერ-ოფიცერი კოვალენკო. ამ მოწმემ ნათლად გამოაშკარავა თუ ვინ არის სტრელკოვი. სამხედრო ბრალმდებელმა პოლკოვნიკმა ივანოვმა დაუყვირა კოვალენკოს: „ჩვენებას ნუ ურევ, ვინ გეკითხება სტრელკოვი ვინ, არის ან რა კაცია, ისა სთქვი საქმეზე რაც იცი!“ უნტერ-ოფიცერი რუსულ დისციპლინის წესით შეჰკრთა შტაბ-ოფიცრის წინაშე, ხმა გაჰკმინდა და სინამდვილე აღარ გამოაშკარავდა.

სასამართლომ პირველად დაადგინა ეკითხოს ბრალდების ახალ მოწმეებს დუბროვსკის და მალჩანოვს, შემდეგ კი უარი უთხრა ვექილებს გამოეწვიათ საკითხად მოკლულ ნაკაშიძის ძმები გიორგი და ივანე ალექსანდრეს ძენი ნაკაშიძეები, გამომძიებელი ელეფთეროვი, ბრალდებული მაჩალინსკი, სპექტორი, ჯახრუშევი, ელცენი და რამდენიმე სხვ. სასამართლო ამ უარით, თავისი პირველ დადგენილების წინააღმდეგ წავიდა.

7. პოლკოვნიკმა მარტინოვმა, სასამართლოს წევრმა, წაიყვანა ქერბალაი და ადგილობრივ ჩვენება ჩამოართვა. მარტინოვის ასეთმა საქციელმა მთლად დაარღვია სასამართლოს კანონი.

8. ბრალმდებელი სასამართლოს თავმჯდომარემ უკანასკნელ სიტყვის დროს ალაპარაკა ის, რის წერაც არა ჰქონდა. ორატორი შეხო ისეთ მოწმების ჩვენებას, რომლებიც სასამართლოში არა ყოფილან და როცა ჩვენება არ ყოფილა წაკითხული. ვექილები ამბობენ, სასამართლომ დაარღვია შემდეგი მუხლები სამხედრო სასამართლოს წესდებისა: 788, 790, 783, 869, 724, 845, 881, ზოგ. 785, 760, 746 [illegible] არის დარღვეული. [illegible] ამავე წესდების 1,002, 1042 და 1043 მუხლების ძალით თხოულობენ საოლქო სასამართლოს გარდაწყვეტილება გაუქმებულ იქმნას და ისევე საქმე ხელ-ახლად გაირჩეს სასამართლოს სხვა წევრთა თანადასწრებით.

ეს კასსაცია ბაქოს გენერალ-გუბერნატორმა შეიწყნარა და გაგზავნა მთავარ სამხედრო სასამართლოში, სადაც დღე-დღეზედ გაირჩევა.

ერგნელი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

31 ოქტომბერი.

სევასტოპოლი, 30. ქალაქში სიწყნარეა. გუშინ პოლიცმეისტერმა მძლავრად დაუარა ქალაქს და მრავალი ხულიგანი დაატუსაღა, მათ შორის 50 ქალაქიდან განდევნა.

რიგა, 30. თუმცა ხმები იყო, რომ ქალაქის განადგურებას აპირებდნენ, ქალაქში უწესოება არა მომხდარა-რა. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის კარებზე გამოკრულია განცხადება პროფესორის ვალდენის ხელმოწერილი: სამოსწავლო კომიტეტის დადგენილებით 29 ოქტომბრიდან ინსტიტუტი დროებით იკეტებაო.

პარიჟი, 30. „ჟურნალ“-ი რუსულ ლიბერალურ პარტიის მოქმედებას დიდ შეცდომად სთვლის, მთავრობას უნდა მხარი მისცენო უწესოების მოსასპობად და რეფორმების განსახორციელებლად, ვიტტემ ლიბერალებს სამაგიეროდ დაუმტკიცაო თავისი გულწრფელობა. ლიბერალები თხოულობენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას. თუმცა კარგად იციან, რომ ეს უფლება არ არსებობს რუსეთზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში—ინგლისში, პრუსიაში, ავსტრიაში, შვეცია-ნორვეგიაში, ჰუნგრეთში. ლიბერალების ამგვარ ქცევას, გაზეთი სოციალისტების დამარცხებას უწოდებს. ასეთი მდგომარეობა სახიფათოა თვით ლიბერალურ პარტიისთვისაო.

კრონშტადტი, 30. ქალაქში სიწყნარეა. მოსული ჯარი ჯერ-ჯერობით კრონშტადტში დარჩება.

მოსკოვი, 30. სრულიად რუსეთის რკინის გზათა კავშირის ცენტრალური ბიურო აცხადებს, რომ ის ხმები, ვითომ ამ ცოტა ხანში რკინის გზაზე საერთო გაფიცვა უნდა მოხდეს, ტყუილია.

პარიჟი, 30. რადგანაც რუსეთში არეულობა არ სცხრება, რაც, ადვილი შესაძლებელია, რეაქციას გამოიწვევს, „მატენი“-ი ძალიან სწუხს, რომ ლიბერალური პარტია მთავრობას მხარს არ უჭერს. ამ პარტიას სახელმწიფო საბჭოს მოწვევამდე მაინც უნდა დაეჭირაო მხარი.

მოსკოვი, 30. რადგანაც ქალაქში ხმა გავრცელდა, ამ ცოტა ხანში დიდი არეულობა მოხდებაო, მრავალი ხალხი საზღვარ-გარედ და ფინლანდიაში წასვლას აჩქარებს. მასთან მომეტებულად ებრაელნი და უცხოელნი. დღეს მოსკოვის სხვადასხვა კუთხეში შესდგა მიტინგები ქალაქის მიერ უფასოდ დათმობილ შენობებში. მიტინგებზე სამაგალითო წესიერება იყო. დადგენილებანი ეხებიან ეკონომიურ მოთხოვნილებას.

ლომჟა, 30. 17 ოქტომბრის მანიფესტი სამოქალაქო უფლების შესახებ ქალაქმა დიდის ამბით იდღესასწაულა, პოლონელების სადგომები დილიდანვე მორთული იყო დროშებით. კოსტელში წირვის შემდეგ პოლონელ ნაციონალისტებმა გუბერნატორის ნებართვით ქუჩებსა და მოედნებზე სიმღერით იწყეს სიარული. წარმოთქმულ სიტყვებში ხალხს იწვევდნენ ლეგალურად და მედგრად იბრძოლონ პოლონეთის ავტონომიისთვის. მანიფესტაცია მშვიდობიანად და წესიერად მოქმედებდა.

ბელოსტოკი, 30. დღემ მშვიდობიანად გაიარა, მცხოვრებნი დამშვიდდნენ.

კალიში, 30. გუბერნატორმა განუმარტა მცხოვრებთ სამხედრო წესები და გამოაცხადა, ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, სამ თვემდე დაპატიმრებულ იქმნება, ან-და 3,000 მანათამდე ჯარიმა გადახდება.

ელიზავეტგრადი, 30. დადგენილება იყო, რომ საღამოს 6 საათიდან კარში გამოსვლა აღარ შეიძლებოდა ახლა ეს დადგენილება გააუქმეს იმ პირობით, რომ, თუ მშვიდობიანობა კიდევ ვინმე დაარღვია, ისევ განაახლებენ.

ტოკიო, 30. ადმირალი ტოგო იაპონიის ესკადრით ველიკობრიტანიაში მარტის შუა რიცხვებში მოვა.

ბათუმი, 31. გაფიცვა გათავდა. მაღაზიები გახსნეს, მეეტლეებმა მუშაობა დაიწყეს, სანოვაგე გაიაფდა.

კრემენჩუგი, 31. პედაგოგთა კრებამ დაადგინა, სწავლა 1 ნოემბრიდან დაიწყონ.

კრასნოიარსკი, 31. კონსტიტუციონალისტთა წრემ გოლოვინს მოსკოვში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიის კრასნოიარსკის წრემ საზოგადო კრებაზე სცნო-რა, რომ მთავრობა ვიტტეს ხელმძღვანელობით, უზრუნველჰყოფს ლეგალურ საშუალებას რეფორმების განსახორციელებლად, საჭიროდ ჰხედავს [illegible] მთავრობას სრული დახმარება გაუწიოს“.

რიგა, 31. გუშინ მშვიდობიანობა არ დარღვეულა. უწესოების დროს მოკლულთა დასაფლავებამ წესიერად ჩაიარა.

ქუთაისი, 30. რკინის გზაზე კვლავ გაიფიცნენ მუშები.

პეტერბურგი, 31. იუსტიციის სამინისტროში ამჟამად გაჩაღებულია მუშაობა პიროვნების ხელშეუხებლობის და კავშირებისა და კრებების თავისუფლების კანონების განხილვის გამო.

სარატოვი, 31. ქალაქმა ჩვეულებრივი ელფერი მიიღო. სადარაჯო რაზმები გააუქმეს. მაზრიდან ცნობები მოდის, რომ ხალხი იქაც მშვიდდება.

ლონდონი, 31. „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს, გრაფი ვიტტე სრული ნდობის ღირსია, მისი თანამშრომლები საქმის ხალხია, ამათ [illegible] მცხოვრებნი [illegible] მოეკიდნენო; ეჭვიანი [illegible] რუსის ლიბერალები ბრიტანიის კონსტიტუციას სამაგალითოდ სთვლიან, მაგრამ თუ რუსეთის ინტელიგენციას უნდა ინგლისის კონსტიტუციის თავისუფლებას მიაღწიოს, მთელი თავისი ძალღონე სახელმწიფოს უნდა შეალიოს. მთავრობას არ ძალუძს უზარმაზარი იმპერია მოაწესრიგოს, თუ რუსის ინტელიგენცია მას ნდობით არ მოეკიდებაო. ახალი რეჟიმი შეიძლება ისევ დაეცეს, როგორც ძველი რეჟიმიო. რუსების ლიბერალების ხელთ არის, [illegible] შემთხვევით და რუსეთი ბედნიერ ქვეყნად აქციონო.

პეტერბურგი, 31. ზოგიერთ საშუალო სასწავლებელში სწავლა კვლავ დაიწყო.

ლონდონი, 31. „სტანდარტი“ განიხილავს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას და ამბობს, ქვეყანა, რომელსაც უკვე აქვს კონსტიტუციონალური თავისუფლება, გულგრილად ვერ შეჰხედავსო რუსის პატრიოტების ბრძოლას ამგვარსავე თავისუფლებასთანაო. რუსები ერთში იყვნენ დარწმუნებულნი—ყველაფერი, რაც კი აქ ითქმის, გულწრფელად იქმნება ნათქვამი. ადვილი გასაგებია რუსის ლიბერალების მისწრაფება,—ერთის მოქნევით მოიპოვონ ყველაფერი. ადვილი გასაგებია, რომ ყველაზე [illegible] ხალხი სცდილობს მოიპოვოს სრული თავისუფლება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით კონსტიტუციონურ რეფორმის სარგებლობისათვის იმპერატორი ვერ დასთანხმდებოდა, უცბად დიდი ნახტომი გაეკეთებინაო. განცდის ხანა როგორც მმართველისა ისე ხალხისთვის.

ტომსკი, 31. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შემდგარმა კრებამ გადასწყვიტა, უფროს კლასების გარდა საშუალო და დაბალ სასწავლებლებში სწავლა დაიწყონ.

ტამბოვი, 31. ქალაქში მშვიდობიანობაა. საღამოზე რკინის გზის ერთ კონტროლიორის სადგომში უცაბედად იფეთქა ყუმბარამ. მოკლულ იქმნა ბავშვი და მძიმედ დაიჭრა გასათხოვარი ქალი. კონტროლიორი კი მიიმალა. კირსანოვისა და ბორისოგლებსკის მაზრებში აგრარულ ნიადაგზე დიდი მოძრაობაა. [illegible] ძარცვავენ და ძალ-მომრეობას იჩენენ. ადმინისტრაცია და ჯარი ყოველის ღონისძიებით სცდილობს უწესოებანი მოსპოს. შეიარაღებული აგიტატორები ბადაშოვის მაზრაში დადიან და მცხოვრებთ ძალას ატანენ, რომ მძარცველებს შეუერთდნენ. გუბერნიაში განძლიერებულ დაცვის წესები გამოაცხადეს.

ასტრახანი, 31. სემინარიის გარდა, ყველა სასწავლებელში სწავლა დაიწყო. ქალაქში სიწყნარეა.

კრონშტადტი, 31. ქალაქში სიწყნარეა. უწესოების მოთავეებს ატუსაღებენ.

ბაქო, 31. ქალაქში მშვიდობიანობაა. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, მცხოვრებთ ნება მიეცათ, საღამოს 8 საათის შემდეგაც გამოვიდნენ ქუჩებში.

ხარკოვი, 31. აუარებელი მცხოვრებნი ქალაქიდან საზღვარ-გარედ მიდიან.

ლოძი, 31. მუშებმა და ხელოსნებმა მიტინგი გამართეს და დაადგინეს, გაფიცვა არ შეწყვიტონ. ადგილობრივ სასწავლებლებში გამოცხადებულია სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულება, სწავლა დროებით ყველგან შეწყვეტილიაო.

ყაზანი, 31. თუმცა მშვიდობიანობა თანდათან მყარდება და უნივერსიტეტს ჯარი აღარ არტყია, მაინც ქალაქში სხვადასხვა ცუდი ხმები დადის. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ასოთ-ამწყობთა გაფიცვის მიზეზით გაზეთები, ეს ორი კვირაა, აღარ გამოდის.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მასამართი: Книжный магазинъ „Цодна“.
(20—5)

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა და ხელ-საქმისა
გადავიდა
მამადავითის ქუჩაზე, გრიგორაშვილის სახლებში, ბაღის პირდაპირ, № 5.

ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

სამკერვალოს გამგე ანნა მერკვილაძისა.
(20—4)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5